სახალხო გაზეთი

№ 324 შაბათი, 11 ივნისი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 324

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სორაპან"-ში, მადათოვის კუნძულზე და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—პირეის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12
ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети" п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

„სახალხო გაზეთი" (სურათებიანი დამატებით)
1 ივნისიდან წლის ბოლომდე ღირს 5 მ. 50 კ.

„სახალხო გაზეთი"-ს ხელის მომწერთა საყურადღებოთ:

მოვაგონებთ ჩვენ ხელის მომწერთ, რომ ყოველ თვის დამდეგიდან, ვისაც ხვედრი ფული იმ დროისთვის არა აქვთ წარმოდგენილი—გაზეთის გზავნა შეჩერებულია.

გაზეთის ფასი დამატებიანათ ტფილისში და მის გარეთ აღნიშნულია პირველ სტრიქონზე და საზღვარ გარეთისა—მეორე სტრიქონზე:

წლ.	11 თვ.	10 თვ.	9 თვ.	8 თვ.	7 თვ.	6 თვ.	5 თვ.	4 თვ.	3 თვ.	2 თვ.	1 თვ.
8. 50.	8. —	7. 50.	6. 90.	6. 20.	5. 50.	4. 80.	4. —	3. 20.	2. 40.	1. 60.	— 80.
12. 8.	11. —	10. —	9. —	8. —	7. —	6. —	5. —	4. 50.	3. 50.	2. 50.	1. 25.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

წლიურ ხელის მომწერს გაზეთის ფასი შეუძლიან გადაიხადოს ნაწილ-ნაწილადაც: ხელის მოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან. 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა.

ძმ ზუბალაშვილების სახალხო სახლი

კვირას, 12 ივნისს,
ავჭალის აუდიტორიაში სახალხო წარმოდგენების მმართველი სექცია გამართავს

სალიტერატურო-სამუსიკო-ვოკალურ დილას.

მონაწილეობენ: აბაშელი, ადამიძე, ახატიანისა, ბარათაშვილი, დავიდოვისა, დარჩია, დოლიძე, ვართანოვი, იმედაშვილი, ინაევი, კანდელაკი, მგალობლიშვილი, მედვინეთ-უხუცესი, ნასყიდაშვილი, ნაკაშიძე, რომანოვი, საფაროვი, ტატიშვილი, ა. წულაძე, ჩუბინოვი და სხვ.

ადგილების ფასი 5—50 კ.-მდე. ბილეთ. იყიდება თეატრ. კასაში. დასაწყ. დღის 1 ს.
(2—1332—1) გამგე **ინაშვილი.**

ქართული საზაფხულო თეატრი

კვირას, 12 ივნისს,
ქართულ თეატრის არტისტ ს. სვიმონიძის რეჟისორობით ქართულ სცენის-მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება

ყ ა რ ა მ ა ნ ი,

ფეერია 11 სურათად, გლ. აღნიაშვილისა.
მონაწილეობას მიიღებს სცენის მოყვარეთა დასი.
ბილეთების ფასი ყველასთვის ხელმისაწვდომია. **დასაწყისი საღ. 8½ ს.**
(1—658—1) რეჟისორი არტ. **ს. სვიმონიძე.** გამგენი: **შ. ფურცელაძე, ს. ლებანიძე.**

სახალხო უნივერსიტეტი

შაბათს, 11 ივნისს, „სპორტის" ბაღში (მიხეილის ქუჩა),

ტფილისის სახალხო უნივერსიტეტის სასარგებლოდ

გაიმართება **სეირნობა** **მეტად საინტერესო პროგრამით.**

ზუბალაშვილების სახალხო უნივერსიტეტი

კვირას, 12 ივნისს, გაიმართება **ბრწყინვალე დილა** რუსეთის კრიტიკოსის **ვ. გ. ბელინსკის** **გარდაცვალების 100 წ. თავის აღსანიშნავად.** (3—656—3)

საბურთალოზე მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათზე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდინ. (წ.—1147—66)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.
ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის" სასტუმროსთან.
ტელეფონი № 590.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება დღეც და ღამეც.
საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

ზიდევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.

დავითიანი რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 2—3 ს.

მუხნელიშვილი გ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ ს.

მზარეულოვი მ. ი.—კანისა და ვენერ. ყოველ დღე 1—1 ნახ. ს.

მელიქიშვილი ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

მიქელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12 ნახ.—1 ს.

ორემბოვსკი ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ორშაბ., სამშაბ., ხუთშაბ. და პარასკ. 12—1 ს.

ფირალოვი რ. ზ. ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს. **დროებით წასულია.**

სობოლევსკი ბ. ვ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

ხუდაბაშევი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი **წამლობა „606"-ით** (Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეთანხმებით. სათანადოთ (წ.—1089—484)

ექიმი **შ. ა. მიქელაძე** იღებს შინაგან და ბავშვთა ნერვულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის. გაზეთის ქ. ტელეფონი N 816.

ექიმი **ი. ვ ა შ ა კ ი ძ ე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეის ქუჩების კუთხე N 24. 9—76

მიიღება ხელის მოწერა

არჩ. ჯორჯაძის თხზულებათა მე-2-რე წიგნზე:

„ჩვენი საზოგადოებრიობა".

შინაარსი: ავტორის სურათი. წინასიტყვაობა. 1) მეოთხმოციანნი და ოთხმოც-დაათიანნი. 2) პუბლიცისტი—ილია ჭავჭავაძე. 3) ნ. ნიკოლაძე (ნაწყვეტი). 4) თავად-აზნაურულ ინტელიგენციის პოლიტიკური აზროვნება მე-XIX საუკუნეში. 5) რევოლუციის შემდეგ.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში—„სახალხო გაზეთის" რედაქციაში და წ. კ. ს. წიგნის მაღაზიაში; ქუთაისში გაზ. „კოლხიდის" რედაქციაში; ბათომში—ირაკლი ავალიშვილთან (ქალაქის საავადმყოფო); სოხუმში—ნ. ჯანაშიასთან; ხონში—წ. კ. ს. წიგნის მაღაზიაში; სურამში—ალ. ხორავასთან (საბაკალეო მაღაზია); გორში—სოლომ. კიკნაძესთან (სამეფო ქ., ზურაბიშვილის სახ.) და თელავში—წ. კ. ს. განყოფილების წიგნის მაღაზიაში. ვისაც სურს წიგნი ფოსტით მიიღოს, მან ხარჯად 10 კ. უნდა გადაიხადოს. (20—1326—5)

ხ ო ნ ი ს
საურთიერთო კრედიტის საზოგადოების
გ ა მ გ ე ო ბ ა

ამით აცნობებს ბანკის წევრებს, რომ რადგანაც საგანგებო კრებაზე 29 მაისს 1911 წ. კანონიერი რიცხვი წევრებისა არ გამოცხადდა, დანიშნულია

მეორე საგანგებო კრება

12 ამა ივნისს, რომელიც თანახმად წესდების § 35 იქნება კანონიერი რამდენი წევრიც უნდა გამოცხადდეს.

საგანი კრებისა: მოხსენება წლიურ საზოგადო კრებაზე არჩეულ კომისიისა ახალ ბინაზე გადასვლის თაობაზე. (3—1318—3)

გ ა მ გ ე ო ბ ა
ყვირილის სამეურნეო საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა

ამით აცხადებს, რომ თანახმად 29 მაისის არა ჩვეულებრივ კრების დადგენილებისა, ხელმეორე, არაჩვეულებრივი, საზოგადო **წევრთა კრება** დანიშნულია **12 ივნისს**, ამა **1911 წ.**, ყვირილის საკრებულოს დარბაზში.

განსახილველი საგნები:
არჩევა გამგეობის ერთი წევრისა, ნაცვლად აბო საყვარელიძისა და სამი საბჭოს წევრის ნაცვლად ა. წერეთლისა, ა. აბაშიძისა და დ. მახარაძისა. გამგეობის მოხსენება რამდენიმე საკითხის შესახებ. (3—1319—3)

ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა
წ ი ნ ა მ ძ ღ ო ლ ი

სთხოვს გუბერნიის თავად-აზნაურთ, მობრძანდნენ **12** ივნისს შუადღის 12 საათზე, **ქართულ თეატრში**

საგანგებო საგუბერნიო კრებაზე

დასასწრებლად.

კ რ ე ბ ი ს ს ა გ ა ნ ი ა:
1) 1910 წ. ანგარიში თავად აზნაურობის თანხებისა.
2) თავად-აზნაურობის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა 1911 წლისა. (4—1317—3)

დ ი დ უ ბ ე შ ი

დიდუბის ეკლესიის მახლობლად კვირას, 12 ივნისს, გაიმართება

კავკასიური ჭიდაობა

იჭიდავებენ: 1. მიხა ქურხული—ალექსი მარტყოფელი. 2. გიორგი ჯიბგორი—ხან-აზმედ დაღისტნელი. 3. მამო მმრელი—გოლა გიჟ-ივანესშვილი ზამელი. 4. კოტე სამადაშვილი—თლუმფი ნავთლუღელი. 5 ვახტანგ ცხინვალელი—მაქრო მცხეთელი. 6. ოსი ვარდანა—ვიქტორ კრიხელი. 7. არჩილ ნავთლუღელი—ვასო კაპანაძე. 8. გიგუცა პოკრიშვილი—კოლა დოელი. 9. ოსი როსება—ვასო ზოვლელაშვილი, 10. გიორგი პატარძეულელი—ვიქტორ ხზირტლაძე. 11. არჩილ კომკისუბნელი—გოლა მურთაძე და სხვანი.

დასაწყისი 5½ ს. (2—1335—1)

სამხატვრო-საისტორიო და სამეცნიერო ანატომიური მუზეუმი! პარიზის მხატვრული პანორამა.

მხატვრულ-პლასტიკური და მექანიკური ფიგურები და ბიუსტები: ზოოლოგიიდან, ეთნოგრაფიიდან, მითოლოგიიდან. არა ჩვეულებრივი და საოცრები.

სამეცნიერო-ანატომიური განყოფილება:
ანატომია, ემბრიოლოგია, ყოველნაირი ვენერიული ავადმყოფობანი. აღმოსავლეთის ანუ აზიური სამ ნაირი ჭირი.

ახალი ამბავი! ტფილისში პირველად სირენა ანუ თევზ-კაცა.

მუზეუმში შესვლა 30 კ., ბავშვები, მოსწავლენი და ჯარის დაბალი კაცნი 15 კ., ანატომიურ განყოფილებაში—25 კ. ქალებისთვის ოთხშაბათობით. მუზეუმი იმყოფება მიხეილის პროსპექტზე, სინემატოგრაფ «აპოლოს» გვერდით. პატივისცემით **ზლოდინისა.** (50—1338—1)

იბეჭდება და ამ დღეებში დაურიგდებათ ხელის მომწერლებს ივნისის ნომერი

ჟ უ რ ნ ა ლ
„განათლებისა"

შემდეგის შინაარსით: 1. საუბარი ანუ დაკვირვებითი თვალსაჩინო სწავლება, ლ. ბოცვაძისა. 2. ლიტერატურული შენიშვნები (მ-ქალაქურივი მოტივი ჩვენს პოეზიაში), იპ. ვართაგავასი. 3. ვილიამ ჯემსი. საუბარი ფსიხოლოგიაზე. დ. დ—ძისა. 4. აზნაუროვი. ბავშვების დასჯის მავნებლობა, კაზელაძისა. 5. დემირჭაია, (აღმოსავლეთის თქმულება), თედო კანდელაკისა. 6. სიზმარი და ნამდვილი, თ. რაზიკაშვილისა. 7. უ ფესვო მცენარე, (თარგმანი, ნ. პაპიტაშვილისა. 8 მტრედი (ლექსი), ლადო მესხიშვილისა. 9. სურათი, (ლექსი), დ. თურდოსპირელისა. 10. ვინ არის იგი? (ლექსი), ი. მ—ლისა 11. ელეგია, (ლექსი), ს. ა—ძისა. 12. მთას, (ლექსი). ბრანდისა. 13. ნაკადული, (თარგმანი), კ. გვარამაძისა. 14. * * * (ლექსი), ლეო კ—სა. 15. სოფლის გიმნასტიკა, ბარდასი. 16. ზანგრძლივი სიცოცხლე. ილ. ფერაძისა. 17. პასუხად დ. ქადაგიძეს, ეგნ. ზრამელაშვილისა. 18. ე. ზრამელაშვილის პასუხის-პასუხად, დ. ქადაგიძისა. 19. ჩვენი მომავალი ეროვნული სახალხო სკოლები, ია—სი. 20 ბათუმის ქართულ სკოლის ექსკურსია ტფილისში, რ. რამიშვილისა. (სურათით). მოწერილი ამბები. 21. წერილი გურიიდან. 22. ბიბლიოგრაფია. 22. წერილი რედაქციის მიმართ ვარლამ იმერელისა. განცხადებანი.

რედაქცია აცნობებს ხელის-მომწერლებს, ვისაც ფული არ გამოუგზავნია, ამ ნომრიდან ჟურნალის გზავნა მოესპობათ.

ჟურნალის ფასი წლიურად სამი მანეთი, სოფლის მასწავლებელთათვის 2 მან.
მისამართი: Тифлисъ, Дворянская Грузинская гимназія Л. Г. Боцвадзе.
(3—1337—1) რედაქტორ-გამომცემელი **ლ. გ. ბოცვაძე.**

შავი-ქვის მრეწველთა კრების
ს ა ბ ჭ ო

შორაპნის მაზრის, ქუთაისის გუბერნიისა, **წინანდელ განცხადების შესაცვლელად ამით**

აცხადებს, რომ ჭიათურაში კრების საბჭოსთან არსებულ ტეხნიკის ადგილის მისაღებად თხოვნების მიღება შესწყდება 1911 წ. 20 **ივნისიდან.** (1—1334—1)

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმების გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის ანჩის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

ი. მ. ახპიხოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.

ცნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

დ. გრეიცი—თვალისა, ყოველ დღე 1—2 ს.-მდე.

მონხე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა 1½—3 სათ.

ნოვიცკი—ბებია ქალებ., ყოველ დღე 1—2 ს.

კალამკაროვი—ქალის ავად. ყოველ დღე, გარდა ხუთშაბათისა, 12—1 ს.

უქლობდნიკოვი—შინაგ. ავად. ყოველდღე 4—5 საათ.

რიდელი—შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.

ხუდნოვსკი ა. ნერვ., სულ., ელექტრო-ტერაპია, ყოველ დღე გარდა კვირაუქმისა 11½—12½ საათ.

ხულაკოვი—ყოველ დღე, ქალებ. და საბებიო: 3 ნახ.—4 ნახ. საათ.

რუდენკო—შინაგ. ხუთშაბ. და კვირაობით 3—4 ს.

ვეხელოვოზოროვი ნ. ნ.—ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

იოხელიანისა—ქალ. ავად., ორშაბა ი. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

ლიმონი—კბილის ავად. ყოველ დღე 9—11 საათამდე.

დ. ა. მხიტარიანცი—სიფ., ვენერ., დილის 9 საათ. 10 ნახევარ ს. ყ.-დღე.

ყალამქაროვი—ნერ., ელექტრო-ტერაპ., ყოველდღე 2—3 საათ.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606"-სს საღამოს 6—7 საათამდე.

კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსერმანის წესით. შარდის სადენთა ცისტოსკოპია და კატეტერიზაცია. (წ.—1248—57)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

ე. ს. გაშაკაძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

შ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—11½.

ვ. ს. სტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. 11½—12 ს.

შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ვ. ვ. სობოლევსკი—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. **ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლობა „606"-ით. (წლ.—1090—81)

ა ბ ა ს თ უ მ ა ნ შ ი

კბილის ექიმი

ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს. „დაჩა" ტერმარქაროვისა. (თ.—1333—1)

ექიმი **ა. ნ. დ ი ა ს ა მ ი ძ ე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4 სახლი გაბაშვილისა. 3)

ექიმი **ქ ა ლ ი ს ა** **ნინო რცხილაძე** იღებს ავადმყოფთ დილით 9—2 საათამდე. საღამ. 5—7 საათ. იზმაილოვისა ქ. N2.

ექიმი **ქ ა ლ ი ს ა** **ისიდორე ჭანტურია** გადავიდა ახალ ბინაზე Служба Сборов-ის გვერდზე, ავჭალის სახალხო აუდიტორიის ახლოს, ჩერქეზოვის ქუჩა (ავჭალის) № 68. (თ.—1329.—5)

ელექტრონისა და რენტგენის
ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., კვირაობით კი მხოლოდ საღამოთი 6—7 საათამდე გასინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (წ.—1249—37)

ქ უ თ ა ი ს შ ი

ექიმი მ. ი. ჩხენკელი

შინაგან, საბავშვო და საბებიო სნეულებათა. იღებს დილ. 8—12, საღ. 6—8 ს. ორპირის ქ., გიორგი იოსელიანის სახლი. (თ.—1321—7)

ტფილისი, 11 ივნისი

ქალთა საშუალო სასწავლებელი. სასკოლო საზოგადოების საზოგადო კრებაზე კვლავ აღიძრა საკითხი ქალთა საშუალო სასწავლებელზე. ბედი ამ სასწავლებლისა მართლაც რომ გასაოცარია. ქალებმა თავის საკუთარ ინიციატივით შეჰკრიბეს ფული, რომელიც საგანგებოდ ქართველ ქალთა მომავალ სასწავლებელს უნდა მოჰხმარებოდა. დროთა ბრუნვამ თუ გარემოებამ საქმე ისე მოაწყო, რომ ქალთა კომიტეტს ეს ფულები ხელიდან გამოეცალა. რა თქმა უნდა, ეს ფული დაკარგული არ არის, მაგრამ ერთის პატრონის ხელიდან მეორე პატრონის ხელში გადასვლამ მაინც ძლიერ დიდი ვნება მოუტანა სიმპატიურ საქმის განხორციელებას. მომავალ ქალთა სკოლის ბედ-იღბალი დაუკავშირდა ვაჟთა სკოლის ბედ-იღბალს, როგორც ეს აღნიშნა სამართლიანად ბ-ნმა ალ. ჯავახიშვილმა საზოგადო კრებაზე.

განათლების მნიშვნელობაზე ბაასს არ გავაგრძელებთ. იმას კი მაინც აღვნიშნავთ, რომ ქალთა ეროვნულ განათლებას, ცხოვრების დღევანდელ პირობებში, გაცილებით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ვაჟებისას.

მოგვწონთ თუ არ მოგვწონთ ასეთი მდგომარეობა, მაინც ფაქტად უნდა აღიაროთ, რომ ქალები უმეტეს შემთხვევაში საშუალო განათლებითაც კმაყოფილდებიან. ხოლო რა ცოდნასა და ეროვნულ თვით-ცნობიერებას აძლევს ეხლანდელი ქალთა საშუალო სასწავლებლები, ამას ყველა ძლიერ კარგად ჰხედავს.

წმინდა პრაქტიკულ, ბურჟუაზიულ უტილიტარულ თვალთ-საზრისითაც რომ შევხედოთ საკითხს, ამნაირი სურათი გადაიშლება. ვაჟები იძულებულნი არიან უმაღლეს სასწავლებელშიაც წავიდნენ. უამისოდ მათი გზა დახშულია, რადგანაც გიმნაზია დამთავრებულ ცოდნას არ იძლევა. ქალებს კი, დღევანდელ პირობებში, შეუძლიანთ საშუალო განათლებითაც დაკმაყოფილდნენ, და ფაქტიურად ეს ასეც ხდება. ამიტომ ჩვენ შეგვიძლიან უფრო მთლიანი ტიპი შევქმნათ ქალთა საშუალო სასწავლებლისა და დაუახლოვოთ იგი იმ იდეალს სასწავლებლისას, რომელიც ჩვენს ეროვნულ ტრადიციების მატარებლად გადაიქცევა. თუ ჩვენ იძულებული ვხდებით პრაქტიკულ მოსაზრებებს ანგარიში გაუწიოთ და

ვაჟთა გიმნაზიის პროგრამა შეუფარდოთ სახაზინო გიმნაზიებს, ქალთა საშუალო სასწავლებლის პროგრამის შედგენაში ჩვენ შეგვიძლიან ამ პრაქტიკულ მოსაზრებას არავითარი ანგარიში არ გაუწიოთ.

ამიტომ, ჩვენის აზრით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პროგრამის შემუშავებას. თუ ქალთა სკოლის ბედ-იღბალი ისევე იქნება დაკავშირებული ვაჟთა გიმნაზიის ბედ-იღბალთან, როგორც ეხლაა დაკავშირებული, მაშინ რა თქმა უნდა, სრულიად ბუნებრივად ქალთა მომავალი სკოლის ტიპიც ვაჟთა სკოლას დაემსგავსება. ამის ტენდენციებს ჩვენ ეხლავე ვამჩნევთ. გაიხსნა პირველი განყოფილებანი, მომავალ სექტემბრიდან პირველ კლასის გახსნასაც აპირებენ, მაგრამ ტიპი სასწავლებლისა მაინც კიდევ გამორკვეული არ არის. რანაირი ტიპის სასწავლებელიც უნდა იყოს, პირველ კლასამდე სწავლა ყველგან ერთნაირი იქნება, ბრძანა გიმნაზიის გამგემ ბ-ნმა ა. მდივანმა. არა მგონია ეს სავსებით მართალი იყოს. თუ ნორმად არსებულ სასწავლებლებს ავიღებთ, ეს აზრი მართალი იქნება, მაგრამ თუ ახალს საფუძველზე მოვისურვებთ სკოლის დაარსება, მაშინ პირველ კლასიდანვე პროგრამა შესამჩნევად უნდა შეიცვალოს. მით უფრო საჭირო იქნება ეს მაშინ, როდესაც მეორე კლასის გახსნას შეუდგებიან.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ სამეცნიერო აკადემიის შუამდგომლობის თანახმად **პრივატ-დოცენტს ს. ავალიანს** ნება მიეცა მასალები შეჰკრიბოს კავკასიის ნამესტნიკის კანცელარიის არქივში.

◆ **ტფილისის სათ.-აზნ. სადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა კრებაზე გადასწყდა**, რომ ილია ჭავჭავაძის სახლს (ანდრეევის ქუჩა) წერა-კითხვისა და რწმუნებულთა ჯგუფის წინადადებით ვალი მოეხსნას. ეხლა საფინანსო სამინისტროს წარმომადგენელს ბ. ოსტროვსკის განუცხადებია, რომ ასეთი ქველმოქმედება არ შეეფერება ბანკის წესდებას და ამიტომ არ ეთანხმება კრების დადგენილებას. ბ. ოსტროვსკის განუცხადებია, რომ ბანკს ნება არა აქვს სისრულეში მოიყვანოს თავისი დადგენილება, სანამ ფინანსთა სამინისტროდან, სადაც მან თავისი მოხსენება გაგზავნა, განსაკუთრებული ნებართვა არ მოვა.

◆ **ტფილისის ნოტარიუსს მღებროვს სანოტარიუსო კონტორა დაუხურეს.** გუშინ-წინ იქ მისულა მეორე განყოფილების მომრიგებელი მოსამართლე, დაუბეჭდია და წაუღია წიგნები, საბუთების ქაღალდები და ბეჭდები. ეს გამოიწვია იმან, რომ ბ- მღებროვის ბინაზე ჩხრეკის დროს რამდენიმე ყუთი აკრძალული წიგნები აღმოაჩინეს. მღებროვი უკვე წასულა ტფილისიდან. იმის თანაშემწეს მოსამსახურეთათვის გამოუცხადებია სხვა სამსახურის ძებნას შეუდგეთო. ბევრი მათგანი 20 და მეტიც წელი მსახურობს იქ, მოხუცებულია და ძლიერ ცუდ მდგომარეობას განიცდის.

◆ **ყვირილის** (რომლისაგანაც მკბენარ მწერების დასახოცი სიფხვიერეს ამზადებენ) მოსაშენებლად ბაკურიანთან გამოჰყვეს მოზრდილი ადგილი, სადაც გვირილის სანერგეს გააშენებენ. როგორც ვიცით გვირილა აქამდის ამიერ-კავკასიის მხოლოდ აღმოსავლეთ ნაწილში იზრდებოდა. შარშან კი გორის მაზრაშიც შეაგროვეს 1000 ფუთი.

◆ **9 ივნისს რუსეთის საიმპერატორო მეხილეობის საზოგადოების წევრმა** დაათვალიერა საუფლისწულო მამულების მარანი, სადაც 20 წლის ღვინოები დაათვალიერა. მას დაწვრილებით უხსნიდა ყველაფერს მარანის გამგე ა. ა. ეგოროვი.

◆ **გაკრიჭეს მღვდელი** ებანოიძე, რომელსაც სასამართლოს მიერ ღირსების აყრა და კატორგაში გაგზავნა აქვს გადაწყვეტილი.

◆ **კავკასიის უნივერსიტეტი.** სახელმწიფო საბჭოს წევრმა სენატორმა ნიკოლსკიმ ა. ი. ხატისოვს დეპეშით აცნობა, საუწყებათაშორისო თათბირი მომხრე არ არის ტფილისში უნივერსიტეტი გაიხსნას ფიზიკურ-მათემატიკურ ფაკულტეტით.

◆ **მტკვრის ადიდებამ** საგრძნობი ზარალი მიაყენა ორთაჭალის ბაღებს, სადაც 7 ივნისს წყალი კალაპოტიდან გადმოვიდა და ბაღები წალეკა.

◆ **ეთნოგრაფიული გამოკვლევა.** ბუნების-მეტყველებისა, ანტროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის საიმპერატორო საზოგადოებამ დაავალა თავის წევრს ა. ს. ხახანაშვილს, ეთნოგრაფიული გამოკვლევანი მოახდინოს ტფილისის გუბერნიაში. ბ-ნი ხახანაშვილი გუშინ უკვე ჩამოვიდა ტფილისში.

◆ **ექსკურსიები.** მოკლე ხანში ტფილისში საექსკურსიოდ ჩამოვლენ: 1) მოსკოვის მასწავლებელთა კერძო გიმნაზიის მოსწავლე ქალები, რიცხვით 28 კაცი, 2) თავრიდის გუბერნიის გალბშტადის კომერციულ სასწავლებლის 17 მოსწავლე და 3) კიევის პოლიტექნიკურ ინსტიტუტის 39 სტუდენტი.

წვრილი ამბები

◆ 9 ივნისს ტფილისში შეიპყრეს 16 კაცი.

◆ 9 ივნისს დიდუბის ქუჩაზე იპოვეს ჩვრებში შეხვეული ბავშვი მამრობითის სქესისა, დაახლოვებით ორის კვირისა. ბავშვი ოლგას საბებიო ინსტიტუტში გაგზავნეს.

სასამართლო

◆ **რედაქტორის საქმე.** 27 ივნისს ტფ. სასამართლო პალატა წოდებათა წარმომადგენლების მონაწილეობით გაარჩევს გაზ. „ხალხი"-ს რედაქტორ შ. საფაროვის საქმეს. სამართალში მიცემულია სისხლის სამართლის პირველ ნაწილის მე-129 მუხლის ძალით ხსენებულ გაზეთში ლექსის დაბეჭდვისათვის ამ სათაურით: „იდუმალი ხმა".

სასწავლებლებში.

◆ წელს ტფილისის სათ.-აზნ. ქართული გიმნაზია გაათავა 30 კაცმა. მათი გვარები: მიხეილ ალავიძე, თავ. არჩილ ამირეჯიბი, მიხეილ ბარნაბიშვილი, იოსებ ბერძნიშვილი, შალვა ბერიძე, ზაქარია ბერიძე, კლემენტი გერსამია, ვლადიმერ გოგიტიძე, იოსებ გომართელი, გიორგი ჭანჭველაძე, ნიკოლოზ ჯანდიერი, დიმიტრი დიდებულიძე, ესტატე ინასარიძე, იოანე კარბელაშვილი, სოლომონ ლორთქიფანიძე, კონსტანტინე მალიაშვილი, ალექსანდრე მამულაიშვილი, ნიკოლოზ მაჭავარიანი, ვასილ მეგინეიშვილი, იოსებ ნადირაძე, ნიკოლოზ ომიაძე, ქრისტეფორე რაჭველიშვილი, ილარიონ საყვარელიძე, ალექსანდრე მსუქნიშვილი, კალისტრატე სულაქველიძე, გერმანე ურუშაძე, ალექსანდრე ხელაია, დავით ჩხეიძე და კონსტანტინე წერეთელი.

ბაქო

◆ **საქალაქო არჩევნები** ხელმეორედ გაუქმებულ იქმნა.

კავკასი

◆ **თავდამცემთა ვინაობა.** 7 ივნისს პიატიგორსკას ვოგზალზე შეპყრობილნი ქართველნი აღმოჩნდნენ. ეკუთვნიან იმ ბრბოს, რომელმაც ფრანგები დე-ლავინები მოჰკლა. ისინი აქ მოსულიყვნენ სასამართლოს მიერ გასამართლებულ ამხანაგების განსათავისუფლებლად.

ახალციხე

◆ 8 ივნისს სახალხო სკოლების ინსპექტორი სემენოვის მოთაობით სამოქალაქო სასწავლებელში გაიხსნა მასწავლებელთა კრება. სულ 40-მდე სოფლის მასწავლებელმა მოიყარა თავი.

პირველ დღეს, პარაკლისის გადახდის შემდეგ, დაიწყო ლექციების კითხვა. ბუნების მეცნიერებაზე წაიკითხა ადგ. პროგიმნაზიის ინსპექტორმა ბ-მა ვერესოვმა, ხოლო მათემატიკაზე ადგ. სამოქ. სასწავლებლის მასწავლებელმა ბ-მა ჭურაძემ. კრებები ორ კვირემდის გასტანს.

თელავი

◆ წ.-კ. თელავის განყ. გამგეობამ, თავის დადგენილების თანახმად, მიჰმართა თხოვნით ბ-ნ ზაქარია ივანეს ძე ჩხიკვაძეს 20 ივლისს (ილიაობას) ილიას საღამოსათვის კონცერტის მოწყობა და ტფილისშივე დაამზადოს შესაფერი სიმღერების ნოტები.

შარშანაც ბ-ნი ჩხიკვაძე ხელმძღვანელობდა კონცერტს და ჩინებულად ჩაიარა როგორც შინაარსით, ისე შემოსავლით.

კახეთი

◆ 6 მაისს კავკასიონის მთაზე თოვლი მოვიდა, მთელი სერები თოვლით სქლად დაიფარა ისე, როგორც ზამთრის პირში; ამის გამო საგრძნობლად აცივდა მთელ კახეთში.

ამ დროს თოვლის მოსვლა მთებზე იშვიათად ახსოვს ვისმე.

პროვინცია

◆ **ს. მეტეხი** (გორის მაზრა). აქეთ მოსავალს კარგი პირი უჩანს. ნათესები და ვენახებიც კარგს მდგომარეობაშია, რადგან წვიმა თავის დროზე მოდის. საუბედუროდ, ბოლო ხანს ნათესს ერთი სენი გაუჩნდა—მწერი, რომელსაც აქ „ბოგანო"ს ეძახიან და ფუტკარს წააგავს, კალიაზე მეტს უნარს იჩენს ნათესის გაფუჭებაში. კასპის სადგურიდან დაწყებული გრაკლამდის ამ მწერმა ნათესები სრულიად გააფუჭა. ეს მწერი უმთავრესად მარცვლებს სწუწნის.

◆ **ს. ხიდისთავი** (გორის მაზრა). ამ დღეებში მიწის დაყრის დროს უცებ ჩაინგრა ნებალაძის მარნის ბანი და ქვეშ მოიტანა მარანში მყოფი ორი ქალი, რომელნიც მიწიდან მკვდრები ამოთხარეს.

◆ **სიღნაღი**. ს. გურჯაანის მცხოვრებმა ვანო ტარაშვილმა ხანჯლით მძიმედ დასჭრა ოჰანეზ ჯამალო.

◆ **თიანეთი**. ამ დღეებში პოლიციამ შეიპყრო ნიკო ბოძაშვილი რომელსაც ბრალად ედება დუშეთის მაზრის აზნაურის გრიგოლ ზანდუკელის მოკვლა და ბერდანის გატაცება. მკვლელობა 1905 წ. მოხდა.

◆ **ახალციხე.** სოფელ აწყურთან, მტკვრის პირად, იპოვეს წყალში დამრჩვალი 70 წლის დედაბერის ელისაბედ უზანოვის გვამი.

◆ **ს. გომი** (გორის მაზრა). ვიღაც უცნობებმა ღამით იატაკი ახადეს ძმ. ალ. და სერგო კაკაბაძეების საბაკალეიო და სამანუფაქტურო მაღაზიას და წაიღეს 500 მან. საქონელი და 16 მან. 96 კაპ. ნაღდი ფული. ეჭვით შეიპყრეს ღამის ყარაულები: სოლო ჯიოშვილი და სინო ბერუაშვილი და გლეხნი: ზურაბ ხოჩიაშვილი და არჩილ ჯიოშვილი.

შეცდომის გასწორება. გუშინდელ ნომერში შეცდომით იყო დაბეჭდილი; გამოვიდა **ნ. ნაკაშიძის მოთხრობა „შოშა" ფასი 8 კ. უნდა იყოს მოთხრობა „შობა" ფასი 5 კ.**

მეთვალყურის შენიშვნები

8

ქართველთა შორის წერა-კითხვის საზოგადოების საყურადღებოდ.

ქართულ გაზეთების მკითხველი უეჭველია მიაქცევდა ყურადღებას ერთ მეტად მნიშვნელოვან გარემოებას—ეს ხშირი ცნობებია სხვადასხვა სოფლებიდან სამკითხველოების დაარსების შესახებ; ბევრი ამ მოვლენას ჩვენი ხალხის კულტურულ წინმსვლელობის აუცილებელ-უტყუარ ნიშნად ჩასთვლის და ამისი სრული უფლებაც აქვს, რადგანაც კარგად მოწყობილ სამკითხველოებს დიდი კულტურული მნიშვნელობა აქვთ და ზოგან თუ სკოლის მაგივრობას არა, მაინც სოფლის სკოლას დიდს დახმარებას უწევს. განსაკუთრებითი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ამ გვარ სამკითხველოებს ჩვენს, კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებებით, ფრიად ღარიბ სოფლებისათვის; მაგრამ სამწუხაროდ მხოლოდ უნდა ჰქონდეთ, რადგანაც ჩვენში დაარსებული სამკითხველოები მხოლოდ ფიქციებად უნდა ჩაითვალოს; მართლაც ვინც კი თვალს ადევნებს, ცოტად-თუ ბევრად ამგვარ დაწესებულების ბედ-იღბალს, ის არ შეიძლება არ დამეთანხმოს, რომ ჩვენი სოფლის სამკითხველოების არსებობა განისაზღვრება მხოლოდ ნებართვის აღებით, მისი გაზეთებში გამოცხადებით და მის სასარგებლოდ ორიოდ წარმოდგენის გამართვით და ბოლოს რა ხდება, რა ემართება ამ გვარ სამკითხველოებს გაუგებელი რჩება; მაგრამ ვინც კი საქმეში ჩახედულა, იმან კარგად იცის, რომ მომეტებულ შემთხვევაში ეს სამკითხველოები ან ერთი წლის განმავლობაში ლევენ სულს დღიდან დაარსებისა, ან და, თუმცა განაგრძობენ არსებობას, მაგრამ მითი არავინ სარგებლობს და ამგვარად იგი თავის დანიშნულებას ვერ ასრულებს. მიზეზები ჩვენის სამკითხველოების ამგვარის სამწუხარო მდგომარეობისა მრავალია, რომელთაგან ბევრი უკვე აღნიშნულია ჩვენს პრესაში, მაგრამ უმთავრესი, ჩემის აზრით, ის არის, რომ ჩვენი სოფლის სამკითხველოები ვერ აინტერესებს იმ ნაწილს ჩვენის ხალხისას, ვისთვისაც იგი არსდება,—სახელდობრ, გლეხობას. ამ უკანასკნელი შემთხვევისათვის კი, სხვათა შორის, დიდი მნიშვნელობა აქვს სამკითხველოსთვის შეძენილ წიგნების შერჩევას და აი, სწორედ ამ მხრივ ჩვენი სოფლის სამკითხველოებისთვის არაფერი არ გაკეთებულა და, მართლაც, თუ შემოივლით ჩვენს სამკითხველოებს, მაშინ თქვენ ნახავთ ყოველგვარ წიგნებს: ფრანგულს და ზოგიერთ ისეთ ქართულს, რომელიც არავითარ ინტერეს არ წარმოადგენს სოფლისთვის, მაგრამ შესაფერ წიგნებს კი სანთლითაც ვერ მოსძებნი; შეიძლება ეს მოვლენა ახსნან იმ გარემოებით, რომ უსახსრობისა გამო ჩვენი სამკითხველოები იძულებულნი არიან დაკმაყოფილდნენ შემოწირულ წიგნებს, რითიც აიხსნება წიგნების სოფლისთვის შეუფერებლობა, მაგრამ ეს შემცდარი აზრი იქნება, რადგანაც ხშირია ისეთი სამკითხველოებიც, საცა სახსარიც მოიპოვება, საქმესაც მოთავენი სიყვარულით ეკიდებიან, მაგრამ შესაფერ წიგნების მოძებნის მოხერხება კი არ აქვთ. მოგეხსენებათ, ჩვენში სამკითხველოები უმთავრესად იხსნება კერძო ინიციატივით და თამამად შეგვიძლიან ვთქვათ, რომ კერძო ინიციატივას ასეთი ფართე ხასიათი ჩვენის ცხოვრების არც ერთ სფერაში არ აქვს მიღებული, როგორც სამკითხველოების დაარსებაში; მაგრამ ისიც კარგად მოგეხსენებათ, რომ კერძო ადამიანს შეუძლიან ნებართვა აიღოს, სახსარი გამოსძებნოს, თვალყური ადევნოს სამკითხველოს არსებობას, წიგნების შერჩევა კი თვით განათლებულ ადამიანისთვისაც საძნელოა; ხშირად დამარცხებული ქუდმოგლეჯილი დარბის, კითხულობს საჭირო წიგნების სიას, მაგრამ ამაოდ. ამ შემთხვევაში სხვა ქვეყნებში განსაკუთრებული საზოგადოებები არსებობენ და რუსეთში კი ერობა ზრუნავს, რომლის ინიციატივით ანუსხულია შესაფერ წიგნების სია; ჩვენში ეს უნდა იკისროს ქარ. შორის წ. კ. საზ. ეს მით უმეტეს, რომ სამკითხველოებზე ზრუნვა ერთ მის უპირველეს მიზანს შეადგენს. იმედია, ამ გარემოებას ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს და განსაკუთრებულ კომისიას აირჩევს, ქართ. შ. წ. კ. გ. საზოგადოება, რომელსაც მიანდობს სოფლის სამკითხველოებისთვის საჭირო წიგნების სიის შედგენას და ამგვარად თუ ნივთიერად არა, ამ სახით მაინც დაეხმარება კერძო ინიციატორთ.

მრთველი.

კმარა!

ვიღებ კალამს ხელში და თან ვფიქრობ ჩვენს დაწვრილმანება-დაკნინებაზე. სწორედ „ცრციანთ დავა"-ო რომ იტყვიან, ის დაემართაა ამ უბედურ ვარსკვლავზე დაბადებულ „სამშობლოს". ვინ იცის რამდენი დრო, მელანი და ქაღალდი დაიხარჯა უბრალოდ, თუმცა ზოგიერთებმა, რომელთაც ენის ქავილი სენად გარდაქცევიათ, შვება მიიღეს ცოტა ხანს მაინც და ენა მოიქავლეს, ხოლო მიზეზი ენის მოქავლებისა ის იყო, რომ ორი მუსიკოსი ერთმანეთს წაჰკიდოს და არა საქმის სინამდვილე გაიგოს. რაზედ ას ჯახეს ვაი უშველებელი? რა მოხდა?

უცხო, მართლა განვითარებულმა მუსიკოსმა რომ გაიგოს, თუ რამდენი აურზაური და დავიდარაბა არის სიმღერა „სამშობლოს" აღმოცენების შესახებ, იფიქრებს ალბად დიდებული რამ ნაწარმოები უნდა

მიწის საიჯარო წესი საქართველოში

სოფლის ცხოვრების საერთო მდგომარეობის მიხედვით.

2

როგორც დავინახეთ, მიწის იჯარის წესით დამუშავება წარმოიშვა და განვითარდა საქართველოში ბატონ-ყმურ წეს-წყობილების დანგრევით და ბურჟუაზიულ, მოქალაქობრივ წესების განმტკიცებით.

დავინახეთ აგრეთვე, რომ გლეხკაცობა მიწა-წყლის სიმცირით და მრეწველობა-ვაჭრობის განუვითარებლობით მიწის დაქირავებით იღებს—როგორც პეტრე მასლოვი მოხდენილად იტყოდა—ერთგვარ სამუშაო ქირას [1]), შეძლებულნი, მდიდრები—ზედმეტ ღირებულებას, სარგებელს და ბატონი მემამულეები—რენტას.

თავის თავად, ზნეობისა და წმინდა სამართლიანობის თვალსაზრისით, ასეთი წესი შეუწყნარებელია, მეცნიერულად ხომ კარლ მარქსის მიერ დამტკიცებულია („კაპიტალ"-ში), რომ ყოველგვარი საქონელი და შრომის ნაყოფი, აგრეთვე სიმდიდრე-ნივთიერება, რომლის მოსაგვარებლად დახარჯულია ადამიანის შრომის ძალა—მხოლოდ და მარტო იმ საზოგადოებრივ კლასის სრულ კუთვნილებას უნდა შეადგენდეს, რომელიც ასეთ შრომაში, ენერგიის დახარჯვაში, პირდაპირ მონაწილეობას იღებს ამა თუ იმ სახით.

მაგრამ ყველა ამას ერთ წუთს რომ მოვშორდეთ და ანგარიში გაუწიოთ კერძო საკუთრების იმ წყობილებას, რომელიც ყოველგვარ სიდუხჭირისა და უსამართლობის დაუშრეტელ აუზს წარმოადგენს, აი ასეთ წეს-წყობილების დროსაც ყველა მიუდგომელთა და თვალხილულთათვის აშკარაა ის გასაშტერებელი ექსპლოატაცია, რომლის მსხვერპლია საქართველოს გლეხ-კაცობა მიწად-სარგებლობის იჯარის წესის დროს. ჩვენ არ დავასახელებთ ისეთ დარგს ეკონომიურ ცხოვრებიდან, სადაც ხალხის, მწარმოებელ გლეხობის, სულიან-ხორციანად გაფცქვნა უფრო მოხერხებულად და შემაძრწუნებლად ხდებოდეს, ვინემ მიწადსარგებლობის იჯარით წესშია: —ძმობილო, გნებავთ, აიღეთ ჩემი მიწა, გნებავთ ნუ აიღებთ!—აი ის ჩვეულებრივი პირობა, რომელიც ნამდვილი უსამართლობის შადრევანად უნდა ჩაითვალოს.

ქვეყნის თანამედროვე წყობილებით რომ კერძო მესაკუთრეები და მიწადმფლობელები დიდად სარგებლობენ, ყველასათვის აშკარაა. მაგრამ ჩვენ აქ უფრო სხვა მხრივ მოუვლით საკითხს და რადგანაც მემამულეთა ასეთ თავ-გასულობას უფრო ღრმა და ობიექტიური გარემოებანიც ხელს უწყობს, ამიტომაც ჩვენ ამ ობიექტიურ მიზეზებს შევეხებით. შევეცდებით რამდენადმე ნათელვყოთ ასეთ გარემოების საერთო პირობები.

ის ობიექტიური პირობები თავის მხრივ საქართველოს ეკონომიურ წყობილებაში იყრის თავს, ეკონომიურ სიბეჩავითა და გაუნათლებლობით ვითარდება სხვა და სხვა სნეულებანი საზოგადოებრივ ცხოვრებისა და ამიტომაც საქართველოს ეკონომიურ კრიზისის დახასიათება-გარკვევაც გააშუქებს ჩვენს კითხვას.

მაშ რა არის და სად არის მიწადსარგებლობის საიჯარო წესის დაკნინების ნამდვილი მიზეზები?

ბატონ-ყმობის განადგურების შემდეგ საქართველოს მწარმოებელი ძალას—მშრომელ გლეხ-კაცობას—ასპარეზი გაეხსნა. ერის რიცხვითი რაოდენობა თანდათან გაიზარდა და სულ უკანასკნელ დრომდეც ჩვენი ერი მრავლდება. საზოგადოების გამრავლება საზოგადოების წევრთა მოთხოვნილებების გართულებასა და გადიდებას გულისხმობს, რითსაც მწარმოებელი ძალები აუცილებლად უნდა განვითარდეს. გამრავლებულ ერისათვის მწარმოებელ ძალებისაგან ვითარება იმდენად აუცილებელია, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ერს აღსასრული მოელის და კიდეც განადგურდება..

მწარმოებელ ძალების განვითარება ბევრ რამეში გამოიხატება: ფიზიკური და სულიერი დაწინაურება, გაუმჯობესებულ საწარმოვო საშუალებებით შრომის აღჭურვა, შრომის საერთო ინტენსიფიკაცია და სხვა. მაგრამ გამრავლებულ ერს თვით-არსებობის დაცვა და განვითარება იმ შემთხვევაშიაც შეუძლიან, თუ მწარმოებელი ძალები ვერ ვითარდება და სტაციონურ მდგომარეობაში იმყოფება. მაგ. გამრავლებულ საზოგადოებას გართულებულ მოთხოვნილების უზრუნველყოფა სამიწადმოქმედო, სამეურნეო ქვეყნებში შეუძლია საწარმოვო ობიექტის, ამ შემთხვევაში მიწის, გაფართოვებით. მიწის გაფართოვებით ექსტენსიურ კულტურითაც შესაძლოა მწარმოებელ ძალების უზრუნველყოფა და განვითარება, მაგრამ იმ შემთხვევაში თუ საწარმოვო მიწა-წყალი ვერ ფართოვდება სხვა და სხვა მიზეზების გამო, მაშინ აუცილებელ პირობას შეადგენს მწარმოებელ ძალების უზრუნველსაყოფად და გასავითარებლად უმაღლეს რაციონალურ კულტურის განვითარება, ე. ი. ინტენსიურ მეურნეობის წარმოშობა და შრომის საერთო ინტენსიფიკაცია.

საქართველოში დაცულია (რა თქმა უნდა ასე თუ ისე) პირველი გარემოება: ქართველ საზოგადოების გამრავლება, მაგრამ სანაცვლოდ ყველა დანარჩენი პირობანი ხელსაყრელ მდგომარეობისა—დარღვეულია. ჩვენი ერი მრავლდება რაოდენობით, აქედან იბადება მათი დასაკმაყოფილებლად მრავალი საჭიროება-მოთხოვნილებანი, მაგრამ 1) ამ მოთხოვნილებათა უზრუნველსაყოფად არა თუ ვერ ფართოვდება მკვიდრთა საწარმოვო საგანი—გადასამუშავებელი მიწა-წყალი, პირიქით, მთელ რიგ ზომების მეოხებით მკვიდრთა საწარმოვო საშუალებანი და მიწადმფლობელობა ვიწროვდება და 2) ისიც პირდაპირ საშინელებას წარმოადგენს — ვერ ვითარდება ინტენსიური და გონივრული სოფლის კულტურა, მეურნეობა და შრომის განაწილებისა და დაწინაურების საერთო პირობები.

მოკლედ, მაგრამ სისწრაფით დავასახელეთ და აღვნუსხეთ ჩვენი სოფლის და მთელ საზოგადოებრივ ცხოვრების კრიტიკული მდგომარეობა. მაგრამ, საქართველოს საზოგადოებრივ-ეკონომიური ცხოვრება მეტის-მეტად რთული და მრავალმხრივია და ამიტომაც მას საერთო მდგომარეობის გამოცოცხლება და ჩვენი ცხოვრების სოციალური და ეკონომიური განვითარება-წარმატება სხვა მხრიდანაც შესაძლოა, რომლის განუვითარებლობით ამ ჟამად ჩვენი ცხოვრების მამოძრავებელი ძალები დაფოლებულია. მიხვდებით, რომ აქ მხედველობაში გვაქვს მრეწველობა და საერთო აღებ-მიცემობა-ვაჭრობის განუვითარებლობა. დიახ, ჩვენი ცხოვრების მიერ წამოყენებულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება და მწარმოებელ ძალების განვითარება ერთთავად ქალაქის მრეწველობის განვითარებით და სოფლის სხვა და სხვა სავაჭრო და საწარმოვო პირობათა წარმოშობით—ანუ ეგრედ წოდებულ, შინაურ ბაზრის გაფართოვებით არის შესაძლებელი, რომლის სიუძლურეზე და შეუძლებლობაზე რუსეთის საეკონომიო მწერლობაში არა ერთი თხზულება აულაგებია ცნობილ ვულგარულ მოაზრეთ: ბ. ბ. ვ. ვ.-სა და ნიკოლაი—ონს.

საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებაში შინაურ ბაზრის შექმნა და გაფართოვება ჩვენი მდგომარეობის განვითარების აუცილებელი პირო-

---

*) იხ. П. Масловъ „аграрный вопросъ" т. 1 გვ. 241, გამოცემა მე-4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყვეს, ან იმაზე უკეთესი ქართველებს სხვა რამ მუსიკალური ნაწარმოები აღარ უნდა მოეპოვებოდეთ, რომ ასე ღიღინდისინ სდევენ, იკვლევენ, ზოგს ქურდობასაც კი სწამებენ და ნამდვილად ვერ გაუგიათ, ითომც ჭეშმარიტების მძებნელთ, თუ ვისია ეს გუნდისთვის ოთხ-ხმად დაწერილი სიმღერა „სამშობლო". მით დაინტერესებულ მუსიკოს შეძლება ხელში ჩაუვარდეს „სამშობლო" და როცა უნარიანის და ცოდნის თვალით გადახედავს, ხომ ჩაიცინებს გულში?

მართლაც და რა ისეთი დიდებული ნაწარმოებია, ვისიც უნდა იყოს იგი, რომ ასე თავი მოვაბეზროთ საზოგადოებას ამდენის წერით.

ბოდიშს მოვიხდი ბ.ბ. ყარაშვილთან და ზ. ფალიაშვილთან, რომ გულ-ახდილად ვიტყვი, თუმცა არც ერთი არა საჭიროებს შეიძლება ჩემს ქება-დიდებას, ვიტყვი, რომ ჩემის მოკლე ფიქრით დიდ, რამე განძს ქართულ მუსიკისთვის არ შეადგენს ფორტეპიანოსთვის თუ ოთხი ხმისათვის დაწერილი სიმღერა „სამშობლო".

ჩვენ რომ სიმფონიების წერა შევძლოს მაშინ ხომ ერთმანეთი დავჭამეთ! მე დანამდვილებით ვიცი, რომ ერთისაცა და მეორესაც უფრო უკეთესი ნაწარმოები აქვთ და რაზედ ამცირებენ მათ ნიჭს, რომ ეს უბრალო, თუმცა ტკბილი და საამოვნო სმენისათვის „სამშობლო" ასე საკამათო გახადეს და ამაზედ უკეთესი ნაწარმოები ვეღარა უპოვესრა ან ერთს ან მეორეს. ჩვენ ერთისა და მეორისაც უფრო მეტის იმედი გვაქვს.

ვისია „სამშობლო"?

„სამშობლო" არის დაწერილი ორნაირად: ერთი ფორტეპიანოსთვის, უკვე დაბეჭდილი, რომელიც მთლად ეკუთვნის ბ. ა. ნ. ყარაშვილს და მეორე არის ოთხ-ხმად გადაკეთებული გუნდისთვის ფორტეპიანოს და ორკესტრის აკომპან. ბ. ზ. პ. ფალიაშვილისაგან, ხოლო მელოდია ამ უკანასკნელისა არის ბ. ყარაშვილისა. მორჩა და გათავდა.

ბევრი ძებნა და კამათი რა საჭიროა? ვისაც ესმის რა არის მელოდია და რა არის მელოდიის გარმონიზაცია, როცა ამოიკითხავს აფიშიდან, სადაც სწერია: **„სამშობლო" მელოდია ყარაშვილისა, ხოლო გარმონიზაცია ზ. ფალიაშვილისა**, ის მაშინვე მიხვდება თუ ვის რა ეკუთვნის.

ზ. ჩხიკვაძე.

კახეთის ვითარება

მეტად თვალ-წარმტაცია გაზაფხული კახეთში: როცა ხასხასა ფოთლებით მშვენივრად იმოსება ტყე, მწვანე ხავერდივით ბიბინებს მინდორ-ველი, ხეხილი ათასფრად იშლებ-იფურჩქნება ამ ბუნების სიმშვენიერეს თავს ევლება და სტვენა-გალობით ატკბობს სხვადასხვა ფრინველები, კავკასიონის ქედარა-შერთული მთები მედიდურად გადმომდგარი, თითქოს ამაყობს, რომ დარაჯად უდგას ამ სამოთხის მსგავს კუთხეს და დარბაისელი ალაზანი კი თავის ბუტბუტით სამდურავს ეუბნება განგებას: ბუნებით უხვად დაგიჯილდოვებია ეს კუთხე და მცხოვრებთათვის კი არაფერი გირგუნებიაო.

და განა მართალი არ არის უტყვი ბუნების ჩივილი, განა მართლა ყველა სიკეთეს მოკლებული არ არის კახელი? განა იგი ამ ჟამად არ განიცდის სიღარიბეს, სიტიტვლეს, სიმშილს და ეს ქებული ბუნებაც თითქოს მას სჯიბრობსო.

ავიღოთ ეს უკანასკნელი წლები. მცირე მოსავლიანობით და აუარებელი ხარჯებით გლეხ-კაცის ოჯახი სრულებით დაქვეითდა, დაღარიბდა, გამოიფიტა. არ ვიცი შემდეგ რა იქნება, გვიშველის რასმე თუ არა კახეთის რკინის გზა, რომელსაც ციურ მანანასავით მოველით. თუმცა კი, თუ იგი პრასიანის ულელტეხილზე გაიყვანეს და არა ჩალაუბანზე, რომ ცოტათი მაინც დაუახლოვდეს კახეთს, რომ მცხოვრებთ შეეძლოთ მისი სარგებლობა, მაშინ სიშორის გამო ისეთივე უსარგებლო იქნება ეს გზა კახეთისათვის, როგორც მდინარე ალაზანი.

დიახ ცუდათაა კახეთის საქმე, თუ ბუნებამ ხელი არ შეუწყო და მოსავალი არ მობრუნდა, მხოლოდ დღეს კი იგი ხელს იღებს მაზე.

იშვიათი მშრალი და ცივ ზამთრის შემდეგ, როცა მთელი ნათესობა თაგვმა და ფრინველმა გაზიდა, როცა ყინვამ კახეთის მარჩენალი ვაზი სულ გაახმო, ჩვენ გაზაფხულის იმედი გვქონდა, ტაროსი ხელს შეუწყობდა პირნახულს, მაგრამ ამაშიაც მოვტყუვდით.

გაზაფხული მეტად გვიანი და ავდრიანი დადგა. ზამთრის ნათესობა ისეც ვერ იყო კარგი, ძრიელ თხელი ყანები მოვიდა და ახლა ისე აბალახდა, რომ გლეხის ცოლშვილი იძულებული იყო დიდიან პატარიანად ყანაში შესულიყო გასამარგლავად. გაზაფხულის ნათესობასაც მეტად ხელი შეუშალა ავდარმა. არ ვიცი სიმინდი რას იზამს, ჯერ ჯერობით კი ტაროსი ხელს უწყობს, უკვე გასათოხნად ტანმოყრილს; თუ შემდეგ გვალვამ არ გააფუჭა, იქნება მთესველმა აიღოს რამე, თორემ პურის მოსავალს ეხლავე ვერ უჩანს კარგი პირი.

ღვინის მოსავალი ეჭვ გარეშეა ძრიელ ნაკლები იქნება, ჯერ ერთი ვენახები სულ განახევრდა, მეორე ბევრი შარშანდელი ნასეტყვი სოფლებია და რაც ვაზი გადარჩა ნაკლებად მოისხამს ყურძენს, და მესამე წელსაც ბევრი ქვემო-მხრის სოფლები ისე დაისეტყვა, რომ შემოდგომაზე მევენახე მარანში ვერ შევა. უფრო სავალალო კი ისაა, სამემრისოდაც რქა გაუფუჭა წყეულმა სეტყვამ.

ეული.

ხმა მანგლისიდან

დადგა ზაფხული და თუშ-ფშავლების მეცხვარეებმაც გაუყენეს ცხვარი თრიალეთისკენ, ისედაც ნაზარალევთ „ბედნის" სილაღეც მოაკლდათ.

ბედენი გახლავთ უზარმაზარი მთა გაწოლილი დასავლეთის მხარეს ტფილისიდან. ეს არის ერთად ერთი საზრდო თუშ-ფშაველთ მეცხვარეებისა. ყოველს გაზაფხულზე და შემოდგომაზე ეს მთა უნდა შეიმოსოს თეთრად თუშ-ფშავლების ცხვრით, მიმავალი საზაფხულოდ თრიალეთისკენ.

ამ მთაზე მეცხვარეებს დათმობილი აქვთ გზა და გზა იქით-აქეთ სამ-სამი საჟენი მინდორი, ცხვრისათვის ფართოდ გასავლელად. მეცხვარენი აქ ისვენებენ, უცდიან ერთმანეთს, ურევენ სამთოდ ცხვარს, შემდეგ გაემართებიან თრიალეთისაკენ, სადაც იჯარით აქვთ აღებული ყოველს მეცხვარეს შეერთებულ ფარისთვის საძოვარი.

აქამდის მათი მოძმენი, ახალ სოფლის საზოგადოების მთიულები, რომელთაც ეს მთა ჰქონდათ იჯარით, არ ავიწროვებდნენ მეცხვარეთ. ამისთვის კახეთით წამოსულნი ეშურებიან ჩქარა მივიდნენ ბედენზე, რომ თავისუფლად ამოისუნთქონ და უდარდელად გაშალონ მთაზე ცხვარი. ბევრჯელ უთქვამს აქ მოსულ მეცხვარეს: „მადლობა ღმერთს, მშვიდობით მოვედით ჩვენებისაშიო". ვინაიდან ისინი ჯერ კახეთით ტფილისამდე რამდენს წვალებასა და რამდენს ხარჯსა ხდილობენ და შემდეგ ტფილისიდან ბედნამდე. ტფილისიდან ვიდრე ამოვლენ თეთრ დუქნებს ათასი სომეხი მემამულე სისხლსა სწოვს მათ, შემდეგ ელფიის მთაზე რუსის მემამულენი, აქედან პრიუტამდე ქართველ ბრწყინვალეთა მოურავები და ახალი მემამულენი, პრიუტელი რუსები, რომელთაც ეს ორი წელიწადია შეისყიდეს გზა-ტკეცილის პირად მდებარე შარბახჩევის სათიბ-სახნავი მამული პრიუტის მახლობლად, ახლა ალგეთის ხიდი და... მეცხვარეს თავისი ემართება.

ბედენს აქეთ-იქით მიჯნაში ჩასდგომიან რუსები, ჩრდილოეთით მანგლისელნი, ხოლო სამხრეთით ალბულაღელნი. მანგლისის მხრივ ბედნის ძირობაზე, ბარათაშვილების მამულში მოსახლეობენ მთიულები, გადმოსახლებულნი 1840 წლებში, რომელნიც შეადგენენ ახალ სოფლის საზოგადოებას.

ამ ბოლო დროს ამათ შეისყიდეს ეს ადგილები.

ალბულაღის ქვემო მხარეს მოსახლეობენ დაგეთ-ხაჩინელები (სომხები).

ხსენებული მთა ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა მმართველობის ხელშია და ზემოხსენებულ მთიულებს ჰქონდათ იჯარით. აგერ ორი წელიწადია, აქ დაიარება სახელმწიფო ქონებათა მმართველობის „კომისია", რომელიც მიჯნავდა ალბულაღელების მამულებს და ბედნის მთას.

ალბულაღელებს წინედ ჰქონიათ თურმე შეტანილი თხოვნა უმაღლეს მთავრობასთან, რომ ბედენი მათთვის მიეცათ ნადელში, როგორც უფრო მათი სამხრო, ხოლო სათიბი მთა „ბაბია", რომელიც მათ ეჭირათ გადაეცათ ვისთვისმე, რადგან მათ დიდ მოთხოვნილებას ეს ადგილი ვერ აკმაყოფილებდა. თუმცა ზემოხსენებული „კომისია" ამის წინააღმდეგი იყო, მიუხედავად იმისა, რომ მთიულებს ჯერაც იჯარის ვადაც არ გასვლოდათ, ხსენებული მამული უმაღლესმა მთავრობამ ალბულაღელებს გადასცა ნადელში.

„ბაბია", რომელიც მობმულია ბედენს, სამხროა უფრო ახალ სოფლელ საზოგადოებისა, მაგრამ აქაც გასჩენიათ მთიულებს მოქიშპენი. ხსენებული მთა „ბაბია" უთხოვნიათ დაგეთ-ხაჩინელ სომხებს და მთავრობაც დაჰპირებია.

თუმცა ხსენებულ „კომისიას" ამაზედაც წარუდგენია თავისი მოხსენება ნამესტნიკის საერო და სამიჯნო მმართველობისათვის, რომ დაგეთ-ხაჩინელები ვერ უვლიან იმასაც, რაც უჭირავთო (მათ უჭერიათ 1630 დესეტინა საბანკო—სათიბი მამული).

ორივ მხარე თავ-გამოდებით იბრძვის, მაგრამ ვის დარჩება „ბაბია" ჯერ ვერ ვიტყვით, თუმცა სამხროთ მთიულებისაა და ესეც რომ არ იყოს, მთიულებს პირველი თუ წერთვათ ნაცვლად უკანასკნელი მაინც უნდა მიეცეთ, მით უმეტეს, რომ დაგეთ-ხაჩინელები 15—20 ვერსით დაშორებულნი არიან „ბაბიას" და მეორეთ, როგორც „კომისიის" მოხსენებიდანა სჩანს, სათიბი მამული საკმარისად ჰქონიათ მიცემული.

თუ ეს ასე არ მოხდა, იძულებულნი იქნებიან ერთი საზოგადოება მთიულებისა აიყაროს ნასყიდ მამულიდან და გადასახლდნენ სადმე, თორემ უსათიბ-საძოვროდ მთიულებისათვის ცხოვრება ყოვლად შეუძლებელია. ნასყიდობა კი მარტო სახნავ-სათესს ადგილს შეადგენს.

ამის შემდეგ თუშ-ფშავლებიც და სხვა მეცხვარეებიც ვეღარ გაიხარებენ, ვინაიდან ყოველს ნაბიჯის გადადგმაზე, შარი არ ასცდებათ.

კოტე ფხანაურელი.

ბიბლიოგრაფია

Н. Марръ. Тексты и разысканія по арм.-груз. фил. Книга VII. Георгій Мерчулъ. Житіе св. Григорія Хандзтійскаго. Грузинскій текстъ.

Введеніе, изданіе, переводъ Н. Марра съ дневникомъ поѣздки въ Шавшетію и Кларджетію.

ეს ჩვენი თანამემამულის აკადემიკოსის ნ. მარრის ახალი ვეებერთელა ტომი შეიცავს გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების შესწავლას და შავშეთ-კლარჯეთში მოგზაურობის დღიურს.

გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება ბ-მა მარრმა აღმოაჩინა იერუსალიმში 1902 წ. იგი წარმოადგენს ხანძთისა და შატბერდის მაშენებლისა და წინამძღვრის გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება-მოღვაწეობას და თამამად შეიძლება ითქვას, რომ მას, როგორც საისტორიო და სალიტერატურო ძეგლს, მსგავსი არ მოეპოება მთელს ქართულ ლიტერატურაში. აქ ჩვენ გვეშლება თვალწინ სამგალითო ეპოქა საქართველოს ისტორიულ ცხოვრებაში, როცა დღეს მოწყვეტილის ტაოკლარჯეთისა და საქართველოს სხვა კულტურულ კუთხეთა შორის მკვიდრი სულიერი ერთობა სუფევდა.

მდ. ჭოროხის ხეობაში და არა რიონზე ყოფილა დასახლებული ტომი, რომელმაც შექმნა, ბერძენთა ლეგენდარული თქმულების მიხედვით, ძველის ძველი კოლხიდა.

ამ ხეობას ეკუთნის უძველესი კერა იბერთა და ტიბარენთა, რომელთა მამათმთავარი აღნიშნულია დაბადების გენეალოგიაში თუბალის სახელწოდებით. დაკერებული ისტორიის დასაბამითვე ამ დასავლეთით მოწინავე იაფეტურ ტომების ბედზე კლარჯეთი და მასთან მჭიდროდ შეკავშირებული ტაოს სამთავრო ისტორიული ცხოვრების იმ თავითვე წარმოგვიდგება, თობალ-კაინურსა და იბერ-ჭანურ მოდგმებთან ერთად, ქართველთა ანუ „ქართ"-ის მონათესავედ.

უძველესის ისტორიული პროცესის გასაშუქებლად, ანუ უკეთ ჩვენის კუთხის თობალ-კაენიანთა სომხებად გარდაქმნის შესახებ, ჩვენ გვაქვს ფრიად ცოტა ცნობა, ისიც ნახევრად ზღაპრული, და ეკუთნის მე VII საუკუნის სომხურს მწერალს ჰოჰანეს მამიკონიანს, ასე რომ ჩვენ შეძლებაც კი არა გვაქვს წარმოვიდგინოთ ამ უძველესის პროცესის ისტორიული განვითარება.

იმ ისტორიულ პროცესს, რომელიც განიცადეს ამ კუთხის ბინადართ სომეხთა და იაფეტიდებთან მონათესაობისა და ურთიერთის კულტურული შესისხლ-ხორცების ნიადაგზე ჯერ-ჯერობით ყველაზე მეტ შუქსა ჰფენს ეს წინამდებარე ძეგლი, რომელიც უტყუარი მოწმეა იმ საშუალო ისტორიულის პროცესისა, რომელიც ამ კუთხემ სომხურიდან გარდაქმნის დროს განიცადა. ამ ჟამად უკვე ირკვევა, რომ ამ კუთხის მკვიდრთა გაქართველების პროცესს გაუარია სამი ხანა: პოლიტიკური, სარწმუნოებრივი და ლინგვისტიური.

ამ სამგალითო გამოკვლევას დართული აქვს აგრეთვე შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის დღიური, რომელიც წარმოადგენს ფრიად საჭირო ლინგვისტიურსა და ისტორიულ მასალას.

ასე დიდ-მნიშვნელოვანია ნ. მარრის ეს ახალი შრომა, რომელსაც ჩვეულებრივ მისი ღრმა ნიჭისა და ფრიად იშვიათის ერუდიციის ბეჭედი აზის.

Iustus.

მოწერილი ამბები

სოფ. ჭანჭათი (გურია). ცხრაას ხუთამდე მღვდლის გამწესება მთავრობის საქმე იყო ამ წლიდან კი, მრევლს მიენიჭა უფლება, მაგრამ ვაი ამ მენაჭებს. სოფელმა ეს მშვენიერი უფლება თავისავე საზარალოდ გამოიყენა. ღირსეულის ძებნაში თავს არავინ იტკივებს. გამარჯვება მას რჩება, ვინც სოფლის მეფერალს პირებს იმოვნის. ამათი წყალობით ძლიერ ხშირად „ქრისტეს მოციქულობის" ღირსი ის ხდება, ვისაც გუშინ „სამწყსადაც არ ბატს არ ანდობდნენ", „ვისაც საცრის სათხოვრად" მეზობლისას არ მიაგზავნიდნენ,—ზეცის მოციქულობას აკისრებენ.

რაც მოგვივა, ისევ ჩვენ თავს უნდა დავაბრალოთ. ნეტავი როდემდის ვიქნებით სხვისი ფეხის ხმის ამყოლი. როდის იქნება დავგეშოთ პირად სამოვნებს და საზოგადო საქმეზე ვიზრუნებთ. ასეთი უგმახი არჩევნები სოფელ ჭანჭათშიაც მოხდა.

2 ივნისს სოფ. ჭანჭათელებს გამოეცხადა ბლაღოჩინ-მამასახლისის ბრძანება: დღეს სამღვდელო პირი უნდა აირჩიოთ. ბევრისთვის ეს ამბავი ახალი გაგონება იყო, არავინ არ ელოდა და არც მომზადებული იყვნენ. „მომზადებული" აღმოჩნდა სოფლის მცირე ნაწილი, რომელთაც უტიფრად წამოაყენეს ადგილობრივი მედავითნეს კანდიდატურა, უმეტესობას სიცილად არ ეყო, ზოგმა აშკარად განაცხადა: მაგის მღვდლობას გათათრება მირჩევნიაო, ზოგი სხვა ეკლესიაზე მიწერას ამჯობინებდა. მიუხედავად ამისა 41 კაცმა მაინც მოაწერა ხელი. სოფელში დიდი განხეთქილება ჩამოვარდა, ბევრი დიდი უკმაყოფილოა. ცხადია, განაჩენი უკანონოა (თუ როგორც ჩვეული არიან, ისე ღამით არ შეაცვლეს), მაგრამ ერთი ვკითხოთ: ნუ თუ სამღვდელო პირს არ უნდა ესმოდეს, რომ სოფელში ნაცვლად სიყვარულისა შფოთის დათესვა „სასულიერო" საქმე არ არის? ნუ თუ ის ყველას ერთნაირი საყვარელი არ უნდა იყოს და ყველა ერთნაირი ნდობით არ უნდა უცქეროდეს? სად არის სიწითლე, სად არის ისტიბარი? ნუ თუ ვინმე ფიქრობს, დანარჩენი 154 კომლის სურვილის დაწიხლვას 41 კომლი შესძლებს.

ბაა. კაპიტალისტური წესი ალებ-მიცემობისა და წარმოებისა, რომელიც უკვე შემოღებულ და განმტკიცებულია საქართველოში პირდაპირ მოითხოვს და ჰსაჭიროებს შინაურ ბაზრის აგრე გაფართოებას და განვითარებას. რადგან პირველის განვითარება ფაქტია და მისი განვითარება ფაქტორია ახალ პროგრესიულ მოვლენების წარმოშობისა, ამიტომაც ჩვენი ვალია თვალები გავახილოთ ამ სინამდვილის წინაშე და ჩვენი საქმიანობით შევეცადოთ ისეთი საზოგადოებრივი განწყობილების შემოღება, რომელიც მწარმოებელ ძალის განვითარებასა და კეთილდღეობას უზრუნველჰყოფს. მაგრამ ამაზე სხვა დროს...

ჩვენში მწარმოებელ ძალების განვითარება და შინაურ ბაზრის გაფართოვება ისეთ საზოგადოებრივ პირობების შემოღებით შეიძლება, რომელშიაც შრომასა და ტეხნიკურ ღონისძიებათა გამოყენებას სათანადო ასპარეზი გაეშლება. ეს გარემოება კი მხოლოდ მაშინ ხდება შესაძლებელი, როდესაც ამაში თვით ხალხი და მწარმოებელი ძალები ეკონომიურად იქნებიან დაინტერესებულნი, როდესაც ეკონომიური პირობები იმდენად მომწიფდება, რომ შრომის მოქმედებას დიდი გასავალი ექნება.

რუსეთის, ევროპის და მთელ ქვეყნიერების სინამდვილე იმის ცოცხალი მაჩვენებელია, რომ სოფლის თუ ქალაქის მწარმოებელი ძალების ნაყოფიერობის გადიდება, შრომის განაწილების წარმოშობა და ტეხნიკურ საშუალებათა განვითარება,—ე. ი. მთელი კულტურის უმაღლესად აღდგენა—იქაა შესაძლებელი, სადაც მრეწველობა და შინაური ბაზარი გაფართოვებულა, სადაც მაღალია შრომის ხელ-ფასი და ამ უკანასკნელის დახელოვნება უმწვერვალეს საფეხურზე ასულა. ცხადია, რომ სოფლის სოციალურად და ეკონომიურად აყვავება მხოლოდ მაშინ არის აუცილებელი და შესაძლებელი, როდესაც სოფლელთა შრომა ტყუილ-უბრალოდ არ იკარგება, როდესაც მათ შრომას ფასი აქვს და ასპარეზი გახსნილი, რომ საზოგადოებრივი სიმდიდრე უხვად დამზადდეს.

მაგრამ... გაიხედეთ სოციალურ-ეკონომიურად დაბეჩავებულ საქართველოს ცხოვრებისკენ, დააკვირდით მის ყოველ სოფელს, სოფლის მცხოვრებთა მუშაობა-საქმიანობას და ჩვენ იქ აშკარად ვნახავთ, რომ საქართველოს სოფლებში თავმოყრილია აუარებელი მუქთა ხორები.. სოფლად მრავალი მწარმოებელია ისეთი, რომელნიც სრულიად არაფერს აკეთებენ რასმე, გაცილებით ნაკლებს, ვინემ ამას თავის კერძო მოთხოვნილებანი საჭიროებს. პარაზიტულ ელემენტების გამრავლება ჩვენი ცხოვრების ეკონომიურად დაცემის ნამდვილი შედეგია. ასეთ დაცემის გამოა, რომ ევროპის არც ერთ ქვეყანაში ვერ ნახავთ ქეიფობას, ბანქოსა და ნარდ-დამების თამაშს,—ათასნაირ-სულიერად დაკნინებულ და ხორციელად გამხრწნელ დროს გატარების ფორმებს, რომლებსაც ფართე ალაგი აქვს საქართველოს დღევანდელ სოფლებში.

ცხადია, რომ ასეთ გარემოებაში შეუძლებელია სულიერ და ეკონომიურ კულტურის აყვავება, მისი სათანადო სიმაღლეზე დაყენება. მაგრამ, ვიმეორებ, ეს გარემოება ბუნებრივი კი არაა—როგორც ესა ბევრსა ჰგონია ჩვენში. სიზარმაცე და პარაზიტობა ჩვენი ხალხის ბუნებრივსა და ნიშნობლივ თვისებად არ ჩაითვლება. თვით შრომას დაუზოგველი და მუყაითი გერმანელნი, ან წუთების მონაგარიშე ინგლისელნი გახდებოდნენ წარმოუდგენელნი პარაზიტები და მუქთახორანნი, რომ ამათ საქართველოს ცხოვრების სოციალ-ეკონომიურ პირობებში უხდებოდეთ ჭაპან-წყვეტა, არსებობა. ინგლისის მრეწველობის დაცემით დიდ ბრიტანეთში აუარებელი უსაქმურები გაჩნდებოდნენ, რომელთაც სრულიად ვერ ჩაყლაპავდა სოფლის პირველყოფილი მეურნეობა. რაღა საკვირველი იქნება, რომ ამ დროს იქ პარაზიტიზმს ოქროს ტახტი დაედგას. რომ ეს ასეა, აჰას თვით საქართველოს ცხოვრება ნათლად გვიმტკიცებს. 1898—1902 წლამდე მთელი ამიერ-კავკასიის მრეწველობა, ვაჭრობა-აღებ-მიცემობა ასე-თუ ისე ჰყვაოდა. ბაქო, ტფილისი, ქუთაისის მიდამოები ჭიათურა-ტყიბულით და ბათომის ოლქი აუარებელი მუშა ხელს იღებდა, შემდეგ კი კრიზისი გამეფდა და მუშა ხალხი ბაზარზე გამოცვივდა, ქუჩა უმუშევრებით გაივსო. ამ გარემოებამ სოფელზე გადამჭრელი გავლენა იქონია. სოფელს ხალხი მიაწყდა, სოფელი არა ჰსაჭიროებდა ამ ძალებში და ამიტომ ეს ხალხი სოფლებს ზედმეტ ბარგად დააწვა. ეს ხალხი ზედ-მეტ ელემენტად გადაიქცა, პარაზიტებად იქცა და მათ შორის პარაზიტული ენერგია და სულის კვეთებაც გამეფდა.

ამნაირად, ჩვენი ხალხის სულიერად და ნივთიერად დაკნინების საძირკველი ქალაქისა და სოფლის მრეწველობის განუვითარებლობაა. საქართველოს სოფლის ხალხს არ აქვს გახსნილი შრომის ასპარეზი, ის ვერ გამოსულა კრიტიკულ ყოფაში ჩავარდნილ სოფლის ტყავიდან და ვერ გამოუნახავს ისეთი არე, საიდანაც ის თავის შრომით გამოსწოვდა ბუნებას სიმდიდრისა და კეთილ-დღეობის ტკბილ წვენს. ვაჭრობა-მრეწველობის სათანადო განვითარებით, საქართველოს სოფლის პარაზიტები—უკეთ, პარაზიტებად გადაქცეული ხალხი—მიაწყდებოდა სავაჭრო-სამრეწველო ცენტრებს, ბაზრის მოთხოვნილება უხვად ჩაჰყლაპავდა სოფლის მრავლისაგან-მრავალ მუშა-ხელს და მით სოფლებს გაანთავისუფლებდა აუარებელ ზედმეტ ელემენტებიდან, მუქთა-ხორებიდან, რომელთა არსებობა ეკონომიურად დიდ ზიანს აყენებს ჩვენს სოფლებს. ამ გარემოებით (ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებით) და სოფელში ხალხის შემცირებით, სამუშაო და საწარმოვო ასპარეზი გაიხსნებოდა, დარჩენილ სოფლელ ხალხს სოფელი მეტ შრომის გაღებას მოთხოვდა, ე. ი. შრომის განაყოფიერებას, რაიცა სხვათა შორის სამუშაო ქირის ზრდასა და მომატებას გულისხმობს.

ასეთ გარემოებაში ცხოვრების წინსვლა და მწარმოებელ ძალების განვითარება პირდაპირ აუცილებლობას შეადგენს. მაგრამ, დღესდღეობით ჩვენში სრული ეკონომიური კრიზისია გამეფებული, უმუშევართა რიცხვი—ლეგიონია... მაგრამ ასეთი მდგომარეობა ანორმალურია, ასე წინსვლა შეუძლებელია. აუარებელ ხალხს, რომელთა თავშესაფარი დღეს ჩვენი დაკნინებული სოფლებია—პირველ ყოვლისა თავის თავის დაცვა უნდა, თვით-არსებობა. მათი ფიზიოლოგიური შენობა მოითხოვს ნივთიერების ხმარებას. საიდან უნდა შექმნას ეს საცხოვრებელი ნივთიერება ამ ხალხმა?—მუშაობით, ხელის განძრევით და რაიმე მეურნეობის გაწევით.. ჩვენ მიერ აღნუსხულ პირობებში ხალხი იძულებულია დაეწაფოს მიწის მუშაობას. განსაზღვრულ მცირე მიწა-ადგილს ეხვევა აუარებელი მეურნენი. მიწის სამოვნად ღვივდება მწარმოებელთა შორის ძლიერი მეტოქეობა ხელში მიწის ჩასაგდებად და ეს მეტოქეობა მწარმოებელ მუშებ შორის ძირს უთხრის რა თავიანთ სამუშაო ქირას, ამავე დროს მეტის-მეტად მაღლა სწევს საერთოდ მიწის ფასს და კერძოდ მიწის ქირაობის ფასს, იჯარას. ასეთი მდგომარეობა, მწარმოებელ ძალთა ურთ-ერთი განწყობილება აკნინებს იჯარის წესს და აი სწორედ ამ პირობების გამოა, რომ ჩვენში იჯარა ექსპლოატაციის გასაშტერებელ სურათს იძლევა.*)

ჩვენ დავახასიათეთ საქართველოს სოფლის ეკონომიური კრიზისი და აღვნუსხეთ ამ კრიზისის დამაკნინებელი გავლენა იჯარის წესზე. აქედანვე ჩვენ შეძლება გვეძლევა ასეთ გარემოების მოსპობის ნამდვილი პირობა დავასახელოთ: ესაა ჩვენი ცხოვრების საერთო ეკონომიურ პირობების აღდგენა, განვითარება, რაიც თავის მხრივ მოითხოვს მეტის-მეტად რთულ ფაქტორების დათრგუნვა-წარმოშობას...

თედ. ღლონტი.

---

*) კრიზისით მეურნეობა მოუწყობელია, შრომა მეურნეობაში ვერ მართლდება, ამიტომ მარცვა-გლეჯას ფართე ნიადაგი აქვს ჩვენში. ამ ხერხს ჩვენში კიდეც მიმართავენ, მაგრამ ამ გზით თვით-არსებობის დაცვა — შემთხვევით მოვლენას ეკუთვნის და არა ჩვეულებრივს. თ. ღ.

ნურავინ იფიქრებს „ქვეყანა ჩალით სურს დახურული“ და მათ მოქმედებას ვინმე ანგარიში არ მოსთხოვს.

დამსწრე.

უცხოეთი

პარიზელი აგენტები.

ამ რამდენიმე ხნის წინედ, პარიზის გაზეთებში დაიბეჭდა ერთი ცნობა: რევოლუციონურ გაზეთის „La Cuerre Sociale“-ის რედაქციაში მესამე დღეა დატუსაღებული არიან პოლიციის „კერძო“ მაძიებელნიო. მათ რევოლუციონერთა გვარდიელები ჰყარაულობენ და პოლიტიკურ დამნაშავეთა წესით არიან დამწყვდეულნიო ე. ი. სადილს რესტორანებიდან იღებენ, ჰკითხულობენ გაზეთებსა და სხვა. „Cuerre Sociale“-ს რედაქტორებმა ეს მაძიებელნი გაჩხრიკეს, გაუჩხრიკეს სახლები და ყველაფერი გამოჰკითხესო. პირველ ხანად ვერავის გაეგო, თუ რასა ჰნიშნავდა ყველაფერი ეს. ბოლოს კი გამოირკვა, პარიზში არსებულა რამდენიმე საიდუმლო მაძიებელი ბიუროები. თავის ხელობის სასარგებლოდ ეს ბიუროები გაზეთების სახელებით გამოდიოდნენ. მაგ. გეო ფურნის ბიურო ამავე დროს ყოფილა „La Presse internationale illustre“-ს რედაქციაც. ეს ბიურო ყოველნაირ საქმეებს ასრულებდა. მაგალითად თვალყურს ადევნებდა ცოლებს ქმრების დავალებით და ქმრებს ცოლების დავალებით. მაგრამ ასეთი საქმეები წვრილმანი იყო, ბიურო უფრო დიდ საქმეებს ასრულებდა. ამ დიდ საქმეებს მას ერთი მხრით კაპიტალისტები აძლევდნენ, მეორე მხრით მთავრობა.

კაპიტალისტები საფრანგეთში მუშებს სასტიკად ებრძვიან. გაფიცვა გაფიცვას მოსდევს, მაგრამ მთავრობა ამ გაფიცვებს ხელს არ უშლის, თუ კი გაფიცვის დროს უწესოება არ მოხდა. რომ ეს უწესოებანი მოხდეს და მთავრობა საქმეში ჩაერიოს კაპიტალისტები პროვოკატორებს ამოქმედებენ. პროვოკატორები კი იგივე გეო ფურნის ბიურო—რედაქციის წევრები, იყო. ამ ვაჟბატონებს, ხშირად მოუხდენიათ აფეთქებანი, სროლა და სხვა მრავალი იმისთანა რამ, რაც გაფიცვაში მთავრობის ჩარევას გამოიწვევდა. მაგ. როცა რკინის გზათა გაფიცვა იყო საფრანგეთში, ჩრდილოეთის გზაზე ათჯერ იყო აფეთქება, თუმცა ამ აფეთქების ერთი მატარებელიც კი არ დაუზიანებია. შამპანში მევენახეთა მოძრაობის დროსაც ბევრი იყო აფეთქება და ცეცხლის წაკიდება. ყველა ამაში მონაწილეობას იღებდა გეო ფურნის ბიურო. ეს ბიურო ერთი მხრით „La Cuerre Sociale“-ის გამავრცელებელთ და აგიტატორ-სოციალისტებს ატუსაღებდა, მეორე მხრით დინამიტებს ხმარობდა. მაგრამ ბიუროს საქმეებს უკვეთავდა არა მარტო თავისი, ე. ი. საფრანგეთის მთავრობა, მას ბიურო ძლიერ არა სჭირდება; ბიუროს კარგ შემოსავალს უცხო სახელმწიფონი აძლევდნენ. საფრანგეთის მთავრობამ უცხო სახელმწიფოებს უარი უთხრა, ჩვენი პოლიცია თქვენ პოლიტიკურ დამნაშავეთა წინაამდეგ აღარ ამოქმედებს და აღარც მოგეშველებათო. პარიზი კი მთელი ქვეყნის ემიგრანტების ბინაა. უცხო სახელმწიფოთათვის საჭირო იყო იქ საიდუმლო პოლიციის ყოლა. ეს როლი გეო ფურნის ბიურომ იკისრა. აღმოჩნდა, რომ ბიუროს წევრად ყოფილა ერთი გამოჩენილი „ანარქისტი“ რუმინელი ექიმი რეიხმანი, რომელმაც ორი წლის წინედ მინისტრ ბრატიონოს მოკვლის საქმე მოაწყო. ბრატიონო ვერ მოჰკლეს (თუ არ მოჰკლეს), მაგრამ რუმინელმა სოციალისტებმა კი რეიხმანში ეჭვი შეიტანეს—უეჭველია პროვოკატორი იქნებაო.

რეიხმანმა თავის თავის გასამართლება მოითხოვა. შარშან პარტიულმა სასამართლომ რეიხმანი გაამართლა. რეიხმანი პარიზში ანარქისტულ გაზეთს სცემდა. გაზეთი პრაქტიკულ ანარქიზმის და ტერორიზმის ინტერნაციონალური ორგანოა. იგი სოციალისტებს, სუსტ მოქმედებას უკიჟინებს ხოლმე. ბიუროს მეორე აგენტად იყო დიურანი, ჟურნალისტი, და ანარქისტულ გაზეთის რედაქტორი. დიდი ხანია იციან, რომ ანარქისტთა წრეები პროვოკატორებითაა სავსე, მაგრამ ისეთი პირები, როგორც დიურანი და რეიხმანი იყო, თუ ამავე გზას დაადგებოდნენ, ეს კი არავის ეგონა. მესამე აგენტი ამავე ბიუროსი იყო ვინმე ბლედი, ჟურნალისტი და ზრიუსელელ ერთი გაზეთის კორესპონდენტი. მან განაცხადა, რომ მე თვალ-ყურს ვადევნებდი მუშებს და ვჯაშუშობდი რკინის გზების გაფიცვის, შამპანის არეულობისას, ანარქისტებს, რევოლუციონერებს, სოციალისტებს და სხვათაო. ამასთანავე იგი სხვა და სხვა დროს სხვადასხვა პარტიათა წევრად ყოფილა და რევოლუციონერის სახელი ჰქონია გავარდნილი.

როგორც ასეთი ცნობილი რევოლუციონერი, ბლედი ამ ერთი თვის წინად ბურცევთან მისულა. გადუღია მის სურათი, რომელიც იმ ხანებში ზოგიერთ გაზეთებშიაც დაბეჭდილა. შემდეგ უთხოვია, აზეფის საქმეზე მითხარით რამეო, მაგრამ ისე უთავბოლოდ დაუწყია ლაპარაკი, რომ ბურცევს ეჭვი შეჰპარვია და „Humanitè“-ს რედაქციისათვის უცნობებია ეს ამბავი. რამდენიმე ხნის შემდეგ ბლედი „Guerre Socialle“-ს რედაქციაში მისულა, საუკეთესო რეკომენდაციებით და უთხოვნია რევოლუციონურ რაზმში ჩამწერეთო, მაგრამ რედაქციას უკვე ყველაფერი სცოდნია. ბლედი დაუტუსაღებიათ, გაუჩხრეკიათ მისი სახლი, უპოვიათ საბუთები, ძალა დაუტანებიათ და გამოუტეხნიათ. ამ რიგად ფურნის ერთი წევრი რევოლუციონერებს ხელში ჩაუგდიათ, მთელი გორგალი დაუშლიათ და საქმე გამოურკვევიათ.

ღია წერილი

ქართულ წიგნების გამომცემლობა „კულტურა“-ს მართველს, ბ. კოწია თავართქილაძეს.

ბატონო კოწია ჩითანისძე! თქვენმიერ გამოგზავნილი წიგნები: 10 ც. „მეჯღანუაშვილი“, 10 „მაცხვრიტია“, 10 ც. „სააღდგომო საჩუქარი“ და 10 ც. სხვა და სხვა წიგნაკები, თქვენმა ხელის მომწერლებმა არ მიიღეს და არც მიიღებენ, თუ რომ მოკლებულს ორ წიგნს, კაუცკისა და ტოლსტოის თხზულებებს დროზედ არ დაბეჭდავთ და არ გამოუგზავნით. ეს მიუღებლობა იმან გამოიწვია, რომ ისინი, საზოგადოდ გულნატკენი არიან ქართული წიგნების გამომცემლებისაგან, რომელნიც წინწინვე აქუჩებენ ხელისმომწერთაგან ფულებსა და გამომცემლები კი პირიანად ვერ ასრულებენ დაპირებულ წიგნების თავის დროზედ მოწოდებასა, რაც თქვენც გაგიმეორდათ ორჯელ პირობის აუსრულებლობა.

მავალებენ თქვენი ხელის მომწერლები როგორც აგენტს, რომ გაზეთის საშუალებით გამოგიცხადოთ ეს და მასთანვე ის, რო რას ნიშნავს წინწინვე ორ-ორი მანეთის შემოკრება მათგან, თუ რომ ვერ ასრულებდით თავის დროზედ თქვენს დაპირებასა; ნუთუ ყოველივე უბრალო მიზეზები თითზე დასახვევია თქვენგნით, რომ ჩვენ თავის დროზე ვერ ვღირსოთ დაპირებულ წიგნების მიღებასა, დასძენენ თან ხელის მომწერლები.

პატივცემით თქვენი აგენტი

კონსტანტინე გვარაძე.

წერილი რედ. მიმართ

ევდოშვილის ოჯახობის სასარგებლოდ მივიღე კნ. ანნა დიასამიძისაგან—ერთი თუმანი, მიხეილ გედევანიშვილისაგან 3 მან., ილ. ნაკაშიძისაგან 1 მ. სულ 13 მ. დანიშნულებისამებრ გადავეცი.

ნინო ნაკაშიძე.

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენი პატივცემული გაზეთის უახლოესს ნომერში შემდეგ ანგარიშს საცეკვაო სალამოს შესახებ, რომელიც გამართულ იქნა დაბა ქიათურაში 28 მაისს ქიათურის საქალებო სკოლის სასარგებლოდ. შემოსავალი: ბუფეტიდან 135 მან. 70 კ., „რულეტკა“-დან—26 მ. 25 კაპ., ნაყინიდან 17 მ. 55 კ., ცივ სასმელებ. 27 მ. 60 კ., „ბედის ბოქ. და საქველმოქმ. ბაზრ. 214 მ., ჩაი—12 მ., კონფეტ. და ყვავილები—63 მ. 49 კ., „ფოსტა“-დან 24 მ. 38 კ., ბილეთებიდან 163 მ., შემოწირულება ფულით 63 მან., ბავშვების ბილეთებიდან 7 მ. 50 კ., ბანქოდან 25 მანეთი 66 კაპიკი, სულ 780 მ. 4 კ.

გახავალი: ბინის ქირა და განათებ. 50 მან., ბინის მორთვა და კიოსკების მოწყობა 23 მ. 42 კ., სანოვაგე ვახშმისთვის 80 მ. 21 კ., მუსიკა 83 მ. 50 კ., აფიშებში, წასვლა-წამოსვლა 15 მ. 60 კ, პატენტი ბუფეტისთვის 3 მ. 50 კ., კანფეტები და ხილი 21 მ. 50 კაპ., ჩაის სტოლის მოწყობა 4 მ. 70 კ., კონვერტები, წერილები, ქაღალდი 4 მ. 43 კ., დეპეშები, მიწერ-მოწერა—4 მ. 97 კ., მუშებს—30 მ. 12 კ., ბანქო—6 მ. 24 კ., სათამაშოები ბავშვებისათვის—10 მან. 7 კ., შუშხუნები—კონფეტტი, სერპანტინი 2 მ., მასალა ნაყინისათვის 10 მ. 7 კ., მარკები 9 მ. 65 კ. სულ 359 მ. 98 კ.

დარჩა წმინდა შემოსავალი 480 მ. 6 კაპ.

დასასრულ ნება მიბოძეთ უღრმესი მადლობა გამოვუცხადო ყველას, ვინც დახმარება აღმოგვიჩინა „საღამოს“ მოწყობაში როგორც პირადი მონაწილეობით, აგრეთვე შემოწირულებით ფულისა ან ნივთის სახით და იმათაც, ვინც „საღამოს“ დაესწრო.

გამგე საღამოსი **ა. ანთელიძე.**

კარგა ხანია, რაც მე გამოვაცხადე ქართულ პრესაში, რომ უნდა დავაარსო სომხურ ენის კურსები ქართველ მსურველთათვის.

ვინაიდან ჯერ-ჯერობით ამისათვის ადგილი, ე. ი. შენობა ვერ ვიპოვე, ამიტომაც ვაუწყებ, რომ ამ კურსებს მე დავაარსებ ამ წლის ენკენისთვიდან, ტფილისის სომხთა ერთ-ერთ სამრევლო სასწავლებლის შენობაში, რომლის მმართებლობამ უკვე აღმითქვა შენობის დათმობა.

კურსების გახსნის ნებართვას აიღებს სახალხო უნივერსიტეტის გამგეობა, რომელსაც უკვე მე მივმართე თხოვნით.

შემთხვევით ვსარგებლობ გამოვაცხადო, რომ ჩემ მიერ აღძრული სომეხ-ქართველთა მწერლების მონაწილებით სალიტერატურო საღამოს გამართვის აზრსა მე სისრულეში მოვიყვან მომავალ სეზონში.

ტფილისი, 9 ივნისი.

არტემიუსი.

გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა საზაფხულო მიმოსვლა.

(დრო პეტერბურგის საათითაა ნაჩვენები, რომელიც ადგილობრივ საათზე 58 წუთითაა უკან).

ტფილისიდან გადის:

1) **ბათუმისაკენ:** N I—III კლ. ჩქარი მატ. ხაღ. 10 ს. 10 ხუთზე. გორში ჩადის ღამ. 12 ს. 8 წ., მიხაილოვში ღამ. 1 ს. 12 წ. რიონში დილ. 5 ს. ბათუმში დილ. 8. ს. 45 წ.

2) **საფოსტო** მატარ. N 3. I—III კლას. გადის დილ. 9 ს. 44 წ., გორში ჩადის 12 ს. 27 წ. მიხაილოვში ნაშუადღ. 2 ს. 1 წ., რიონში 6 ს. 35 წ., ბათუმში ღამ. 11 ს.37წ.

3) **სახალხო** მატ. დღის 4 ს. 17 წ. გორში ჩადის 6 ს. 56 წ., მიხაილოვში 8 ს. 29 წ., რიონში 12 ს. 46 წ., ბათუმში დილ. 5 ს. 23 წ.

4) **შერეული** მატ. № 107, მეოთხე კლასით, გადის საღ. 9 ს. 5 წ., გორში ჩადის ღამ. 1 ს. 20 წ., მიხაილოვში ღამ. 3 ს. 43 წ., რიონში დილ. 9 ს. 48 წ., ბათუმში დილ. 5 ს. 6 წ.

ბაქოსაკენ: 1) სამგზავრო N 6. I—II. კლ. გადის დღის 2 ს. 56 წ., განჯაში ჩადის 8 ს. 59 წ., ბალაჯარაში 6 ს. 38 წ., ბაქოში დილ. 7 ს. 15 წ.

2) საფოსტო მატ. N 4, I—III კლ. დილ. 1 ს. 38 წ., განჯაში 5 ს. 39 წ., ბაქოში 1 ს. 44 წ.

3) **ჩქარი** მატ. № 2. I—III კლ. გადის 8 1 ს. 40 წ. დილ., განჯაში იქნება ნაშუაღ. 1 ს. 44 წ., ბალაჯარაში საღ. 10 ს. 2 წ.. ბაქოში საღ. 10 ს. 35 წ.

შერეული მატ. N 106, მე-4 კლასით, დილის 4 ს. 17 წ., განჯაში იქნება შუაღღ. 12 ს. 28 წ., ბალაჯარაში 3 ს. 35 წ., ბაქოში ღამ. 4 ს. 46 წ.

ბორჯომისკენ: 1) **სახალხო** მატარებ. I—III კლ. N 7—8, გადის დილ. 7 ს. 20 წ., ბორჯომში ჩადის შუადღ. 12 ს. 40 წ.

2) **სახალხო** მატ. № 9—10, I—III კლას. გადის ნაშუადღ. 2 ს. 2 წ. ბორჯომში ჩადის საღ. 7 ს. 30 წ.

ჯულფასა და ერევნისაკენ:

1) საფოსტო მატ. N 74—75, I—III კლას. გადის ღამ. 12 ს. 2 წ. ჯულფაში ჩადის ღამ. 11 ს. 48 წ.

2) **სამგზავრო და საქონლ.** N 78—79, II—III კლ. გადის ნაშუადღ. 4 ს. 50 წუთ. ერევანში ჩადის დილის 10 ს. 12 წ.

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: ჩქარი მატარ. პლატსკ. N 1. —III კლ. საღ. 9 ს. 26 წ. სამგზავრო N 5. I—III კლ. ღღ. 3 ს. 27 წ. საფოსტო N 3. I—III კლ. დილ. 8 ს. 54 წ., ნარევი N 107. მე-4 კლასით საღ, 8 ს. 7 წ.

ბათუმიდან: სამგზავრო N 6, I—III კლ. ნაშუადღ. 1 ს. 56 წ., საფოსტო N 4, საღ. 10 ს. 42 წ., ჩქარი N 2, დილ. 7 ს. 54 წ. ნარევი მე-4 კლასით N 106, დილ. 3 ს. 19 წ.

ჯულფიდან: საფ. N 72—73, დილ. 6 ს. 40 წ., სამგზავრო და საქ. N 80—81, II—III კლ. შუადღ. 12 ს. 28 წ.

ერევნიდან: სახალ. შუადღ. 12 ს. 28 წ.

ბორჯომიდან: სამგზავრო N 7—8, დილ 6 ს. 20 წ., სამგზ. N 9—10, საღ. 8 ს. 30 წ.

ქუთაისიდან გადის:

ტფილისისაკენ: სახალხო 5 ს. 15 წ. დილით., საფოსტო 2 ს. 3 წ. დღით. ჩქარი 1 ს. 00 წ. ღამით.

ბათუმისაკენ: სახალხო 1 ს. 00 წ. ღამ. საფოსტო 6 ს. 52 წ. საღ., ჩქარი 5 ს. 15 წ. ღამით.

ფოთისაკენ: სახალ. 1 ს. 00 წ. ღამ. საფოსტო 6 ს. 52 წ. საღ., ჩქარი 5 ს. 15 წ ღამ., სახალხო 4 ს. 22 წ. დღით.

შორაპნისაკენ: სახ. 5 ს. 6 წ. საღამ.

ტყიბულისაკენ: სახ. 3 ს. 28 წ. დღით. სახ.-საქ. 7 ს. 50 წ. დილით.

ქუთაისს მოდის:

ტფილისიდან: სახ. 2 ს. 25 წ. ღამ., საფ. 8 ს. 20 წ. საღ., ჩქარი 7 ს. 14 წ. დილით.

ბათუმიდან: სახ. 7 ს. 14 წ. დილ., საფ. 3 ს. 25 წ. დღ., ჩქარი 2 ს. 25 წ.

ფოთიდან: სახალ. 7 ს. 14 წ. დღ., საფ. 3 ს. 25 წ. დღ., სახ. 10 ს. 21 წ. დილით.

შორაპნიდან: სახალხო 9 ს. 49 წ. დილ

ტყიბულიდან: სახ. 11 ს. 12 წ. დილით. სახალხო-საქ. 6 ს. 46 წ. საღამოს.

ტფილისიდან მცხეთაში:

სახალხო მატ. N 77, I—III კლ. გადის ნაშუადღ. 2 ს. 43 წ., მცხეთაში მიდის ნაშ, 3 ს. 26 წ.

სახ. მატ. № 77, I—III კლ. გადის დილ 8 ს., მცხეთაში მიდის დილის 8 ს. 43 წ.

მცხეთიდან ტფილისში:

სახ. მატ. N 76, I—III კლ. გამოდის 12 ს. 11 წ., ტფილ. ჩამოდის 12 ს. 50 წ., სახალხო მატარ. N 76, გამოდის საღ. 6 ს. 51 წ. ტფილისში მოდის საღ. 7 ს. 30 წ.

შენიშვნები: 1) გადაუჯდომლად პირდაპირი მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მისდევს, ხოლო კავკასის მატ. მე-5 და მე-6, ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებითა).

2) 15 მაისიდან შეიძლება პირდაპირ გადაუჯდომლად მგზავრობა ტფილის-ბაქოკისლავოდსკამდე, საერთაშორისოსამილო ვაგონებით და ამიერ-კავკასიის NN 1—2, კავკავის გზის N 5—6.

3) 1) მაისიდან მიმოდიან ბაკურიანის ლიანდაგზე სამგზავრო № 76—77, მცხეთისა სააგარაკო № 76, 77, 76a, 77a.

4) **შერეული** სახალხო მატ. მე-IV კლ. N 106 და 107, ბაქოსა და ბათომს შუა სადგურების მიხედვით ივლის.

განცხადებანი

მუხრანის ხიდთან

სამკურნალო

გ ა ი ხ ს ნ ა

მუდმივის საწოლებით.

Тифлисъ—Песковская ул., 9. и 48 Цициановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.

ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.

ატენიანცი ნ. ა. ყურ., ცხვ., ყელისა 10—11 საათამდე.

ნ. მ. ახპიხოვი—(მედ. ექ.), ყურის, ცხვირ. და ყელის სნეულ. 11—12 საათ.

გ. ა. ახვერდოვი—(მედიც. ექ.), ათაშანგ., ვენერიულ და კანის სნეულ. 1 ნახ. 2 ნახევარ საათამდე.

ა. ა. გაზაზოვი—შინაგან სნეულება ნ დილის 10—11 საათ.

ტ. ი. გეორგ-ბეგიანი—(მედ. ექ.), თვალის სნეულ. (ორშ., ოთხშ. და პარასკევობით), დილ. 8 ნახ. 9 ნახ. საათ.

ქ. ა. გონიევი—ბავშვთა სნეულ. (სამშ. ხუთშ. და შაბ.) 1 ნახ. 2 საათამდე.

ა. ი. გრიგორიანი—ქირურგიულ სნეულ. დილ. 11—12 საათ.

ი. გ. კალამკაროვი—დედათა სნეულ. 1—2 საათამდე.

ა. ი. კატანიან—(მედ. ექ.), შინაგან სნეულ. 12—1 ს.

მ. დ. კილოსანიძე—ქირურგ. სნეულ. (სამშ., ხუთშ. და პარასკ.) 12 ნახ. 1 ს

გ. ა. მელკონიანი—ქირურგ. სნეულ- 5—6 ს.

ტ. ნ. ტერ-ნერსესოვი—ქირურგ. სნეულ. (ორშ., ოთხშ., შაბ.), 1 ნახ.—2 ს.

ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata „606“-ით.

დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმობისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგებით.

სამკურნალოს გამგე ექ. ა. ი. გრიგორიანი. № 646. 100—5 (0—1003—87)

დოქტ. ნავასარდიანისა

ყოველ დღე, კვირეებს გარდა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

დ ი ლ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

უ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მუღანი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. მ. პუგინოვი. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისადა ყვავილის აცრა.

ა. პ. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.

ბ. გ. აგასაროვი: 1½—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ქალ. ექ. პ. ს. ზალბერშაცი: 6—6 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

ო. მ. ზეივსკაია-ენგელი: 6—6½ ს საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ი. ფ. ვარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

11—12 ს. 606 წამლობა, კონსულტატიურად.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

(წ. (1168—57)

გამოცდილი მასწავლებელი

ამზადებს ქალ-ვაჟს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლებისთვის

პირობებით:

სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, ეპარქიულ სასწავლებლისთვის, ტეხნიკურ, საფერშლო, სამოქალაქო და სასულიერო სასწავლებლისთვის. აგრეთვე პოვივალ ნი ინსტიტუტისა, მიიღებს პერეეზამენოვკიანებსაც.

ამზადებს ერთ და ორ კლასიან მასწავლებლობის ხარისხზე.—ყველა კლასის ჩინებულობს ანბანის უცოდინარ ქალ-ვაჟებს.

მეცადინეობა იქნება სამ ალაგას: ვარანცოვის ძეგლის მახლობლად, ვაგზალზე და ვერაზე. მონაწილეობას მიიღებენ მასწავლებლები მცოდნენი უცხო ენებისა... მეცადინეობა დაიწყება დილის 8 ს-დან საღამოს 8 საათამდე. დროებით მასწავლებელთან მოლაპარაკება შეიძლება თავისუფლად 2-საათ. დღით 6 საათამდე. მსურველნი შეუძლიან ინახულოს სხვა დროსაც...

დროებითი ადრესი: Черкезовская ул. (быв. Авчальск.) д. № 133. кв. 4. противъ вакзала въ Нахаловкѣ.

„შესავალი უმთავრეს კარებიდან“.

(თ.—1084—17)

ფ ო თ შ ი

კუნძულზე ისყიდება

ორი ნაჭერი მიწა,

პოტემკინისა და ლაზარევის ქუჩაზე, № 616 და 425. პირობის გაგება შეიძლება ფოთში კალნიკე ჩხარტიშვილთან.

(2—4429—1)

ქუთაისში ყოველ დღიური ქართული გაზეთი

„კ ო ლ ხ ი დ ა“

რედაქციის ადრესი: ალექსანდრეს ქუჩა, თევდორაძის სახლი.

ხელის-მოსაწერი ფული უნდა გამოიგზავნოს ქ. ქუთაისს, რედაქციის სახელზე. გაზეთის ფასი პირველ ივნისიდან წლის დამლევამდე 4 მან. და 10 შაური. პირველ ივლისიდან წლის დამლევამდე 4 მ., სამი თვით 2 მ. და ხუთი შაური, თვით 80 კ. საზღვარ-გარედ: წლიურად 12 მ. 1 ივლისიდან წლის დამლევამდე 7 მან., თვიურად ექვსი აბაზი. თითო ნომერი ერთი შაური.

ადრესის გამოცვლა: ქუთაისისა ქუთაისზე—10 კაპ., დანარჩენ შემთხვევებში 40 კ.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქონი სამი შაური, უკანასკნელზე 10 კ. სამგლოვიარო განცხადება სამი მანეთი.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება გაზეთ «კოლხიდა»-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდინ, საღამ. 5-დან 7 საათამდე.

რედაქტორ-გამომცემელი ა. ჟუმბაძე.

გამოვიდა ალ. შანშიაშვილის ახალი დრამატიული პოემა

„შვების თავადი“

ფასი 60 კაპ. გამოცემა მ. ნემსაძისა.

„სახალხო გაზეთის“ ხელის მომწერთ, რომელნიც წიგნს მოიკითხავენ გაზეთის კანტორაში, დაეთმობათ 40 კ. ქალაქ-გარედ ხელის მომწერლებმა ფოსტის ხარჯად უნდა გამოგზავნონ 10 კ. წიგნი იყიდება: ტფილისში წ. კ. ს. წიგნის მაღაზიაში და თვით გამომცემელთან (დიდი ვანქის ქ. № 12).

(20—1308—12)

ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

იყიდება შემდეგი წიგნები:

არჩილ ჯორჯაძისა: „ეროვნულ პრობლემის გარშემო“ ფასი 75 კაპ.

Bäton-ისა: „ერი და კაცობრიობა განხილული სოციოლოგიური მხრით“.—ფასი 1 მან. 20 კაპ.

ვ. ყიფიანისა: „სამეგრელოს მთავარი ბატონიშვილი ლევან“—ისტორ. დრამა—ფასი 40 კაპ.

ზემო აღნიშნული წიგნები იყიდება აგრეთვე გოლოვინის პროსპექტზე „ახალი სიტყვის“ („Новая рѣчь“) წიგნ. მაღაზიაში და ქუთაისში—მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში.

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ ვერის მოედანზე

ყანთრის იჯარით გაცემა

დანიშნულია 1911 წლის 17 ივნისს. პირობათა გაცასინჯვა შეიძლება ქალაქის გამგეობის მეოთხე განყოფილებაში დილის 10 საათ. 2 საათამდე.

(3—1331—1)

საუკეთესო წითელი (Кет.) ხიზილალა

სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ

ძმ. ძეგველოვების

● მ ა ღ ა ზ ი ა ს ●

პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

ახალ-ახალი

ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარაღანა).

ხიზილალა

ახალი (Зернистая).

პარკისა და კოლოფებით

საუკეთესო დოშები და ზურგიელები

მიღებულია დვინის ორაგული (სიომგა)

მიიღეთ საუკეთესო პაიუსნი ხიზილალა

გირვანქა 2 მ.-დან 2 მან. 40 კ.-დე.

წითელი ხიზილალა (Кетовая). 60 კ. გირ.

და ბელა-რიბეც 50 კ.

აგრე იყიდეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები.

(წ—1053—)

საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა

საუკეთესო წითელი (Кет.) ხიზილალა

საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა

სტამბა „ხორაშანი“, მადათოვის კუნძული.

რედაქტორ-გამომცემელი ნ. ჟორდანიაშვილი.